ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1997 №160 (525) ფასი 40 თეთრი

არა, არ იქნა და არ დაგვადგა საშველი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, მაღალი კლასისას ვინ ჩივის, ცოტა ხანში შეიძლება საშუალო დონის სპორტსმენიც სანატრელი გაგვიხდეს...
სახელიანი კახი კახიაშვილით დაწყებული და ქომაგთათვის ნაკლებად ან ჯერაც უცნობი იმ არაერთი სპორტსმენის ჩამოთვლა, ვინც საქართველოს საბერძნეთი, რუსეთი თუ სხვა ქვეყნები ამჯობინა, შორს წაგვიყვანდა. გამორიცხული არ არის, გამორიცხული კი არა, სავსებით შესაძლოა, მათ ქართველი ძიუდოისტებიც შეემატნონ. ესენიც თუ წავიდნენ, სანუგეშოდ ერთიღა დაგვრჩება — ტელევიზორის ეკრანი. ჩავრთოთ და იმას მაინც შევავლოთ თვალი, როგორ აჟღერდება კვარცხლბეკზე ამაყად მდგარი ჩვენებურების პატივსაცემად უცხო ქვეყანათა ჰიმნები. ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს, მაგრამ... ქალაქში ხმა დაირხა, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ძიუდოისტი გიორგი რევაზიშვილი საქართველოდან გადახვეწას აპირებსო. ესღა გვაკლდაო, გავიფიქრეთ და პირდაპირ გიორგი რევაზიშვილს მივაკითხეთ, რომლის ნაამბობმაც ზემორე გულსაკლავი შესავალი დაგვაწერინა.

# წავალ, აბა, რას ვიზამ!

## გიორგი რევაზიშვილი სპორტის დეპარტამენტს კუთვნილ ფულს სთხოვს, დეპარტამენტი კი, ხომ მოგეციო, ეუბნება. რევაზიშვილსაც საბერძნეთში წასვლა გადაუწყვეტია

**— გიორგი, მართალია, საქართველოს დატოვებას აპირებსო...**

— კი, მართალია. თუ სპორტის დეპარტამენტი არ გადამიხდის კუთვნილ თანხას, საბერძნეთში წავალ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე იმათი სახელით ვიჭიდავებ.

**— ამას რომ ასე კატეგორიულად აცხადებ, განა რამდენი აქვთ მოსაცემი?**

— ძალიან კარგად მესმის, საქართველოში სპორტის ყველა სახეობაში უკიდურესად რთული მდგომარეობა რომ არის, მაგრამ ოჯახს ხომ რჩენა უნდა, საჭმელსასმელის ფულიც თუ არ მექნა, რაღად მინდა, რომ ვჭიდაობ? ზუსტად რვა თვეა, ხელფასი არ ამიღია, არაფერს ვამბობ საერთაშორისო მიღწევებისთვის დაწესებულ პრემიებზე. სამი დღის წინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი ჩოლარიას შევხვდი და ვუთხარი — თუ ახალ წლამდე გადასახდელს გადამიხდით, თუნდაც ნახევარს მაინც, კარგს იზამთ, არადა, ჩემს მიღწევებს არავის დავამადლი, მომეცით ოფიციალური საბუთი საბერძნეთის სახელით რომ ვიჭიდავო-მეთქი. არც ფულს მაძლევენ, არც ქვეყნიდან წასვლის საშუალებას. მითხარით, რა ვქნა? ევროპის ჩემპიონი ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორიც, მაგრამ არაფერი მშველის. დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, ბინის ყიდვისას ფული რომ დამიმატეს, შემდეგ კი...ერთად-ერთი ჯანო ბაგრატიონი და შოთა ხაბარელის ცოლისძმა ბადრი სიხარულიძე მეხმარებიან, ამათ ვცემ დიდ პატივს, თორემ აქამდეც წავიდოდი. მპირდებიან, მპირდებიან, საშველი აღარ არის. გეტყვიან, ამდენს პირველში მოგცემთო და, ოცში თუ მოგცეს, მადლობელი უნდა იყო. არა, სხვანაირად არ გამიგოთ, საერთოდ არსადაც არ მინდა წასვლა, მაგრამ საჭმლის ფული რომ მოგენატრება, რას იზამთ? აგერ, მანქანა გარეთ მიყენია და ბენზინის ფული არ მაქვს. სახლამდე მივაღწევ თუ არა, არც კი ვიცი. დღეში ორჯერ ვვარჯიშობ, თანაც ყოველდღიურად, საამისოდ თუ განწყობა არ მექნა, უხალისოდ მტერი იყოს.

**— ყველაფერი გასაგებია. ვალერი ჩოლარიასთან უკვე გისაუბრია, კახი ასათიანს არ შეხვედრიხარ?**

— თავმჯდომარისთვის არაფერი მითქვამს, მხოლოდ ჩოლარიას დავუსვი საკითხი, რომ ახალ წლამდე დამაკმაყოფილონ.

**— თუ არადა, წახვალ?**

— აბა, რა. არც ძიუდოს ფედერაციას შევეკითხები, არც დეპარტამენტს, დავავლებ ხელს ჩემს კიმანოს და თავს ვუშველი.

**— საბერძნეთში გელოდებიან?**

— იქ კარგად მოეხსენებათ ჩემი ამბავი, მიცნობენ კიდეც და ყაბულსაც არიან. ჩემსავით მოტყუებული და იმედგაცრუებული კახი კახიაშვილიც დამეხმარება.

**— სხვებიც შენს დღეში არიან?**

— ყველა, თითქმის ყველა ამ დღეშია.

**— თუ წახვედი, უეჭველია, სხვებიც მოგყვებიან და ხეირიანი ძიუდოისტი აღარ დაგვრჩება.**



გიორგი რევაზიშვილი

— ეგ დეპარტამენტს ჰკითხეთ. მაგათი გადასაწყვეტია.

**— რაო, გადაუხდელობის მიზეზად რას ასახელებენ?**

— ვიცი? არაფერი უთქვამთ. ფაქტი კია, შეპირებულს არ გვაძლევენ.

**— რამდენი გეკუთვნის?**

— თხუთმეტი ათასი. ათი ათასი ადრე მომცეს. წავედი, მანქანა ვიყიდე, მითხრეს, ეგ აიღე, დანარჩენს მერე გადავიხდითო. მანქანას შევალიე ფული, იმედი მქონდა, აღარ დამიგვიანებენ-მეთქი, მაგრამ ის ფული დღემდე არ მინახავს.

• • •

ეს გვითხრა გიორგი რევაზიშვილმა, მაგრამ, ნათქვამია, ერთს რომ უსმენ, მეორეს უნდა ჰკითხოო. ჰოდა, გუშინვე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი ჩოლარიას დავურეკეთ. ისეთ საქმეზე მეკითხებით, ტელეფონით ვერ გიპასუხებთ, უმჯობესია, პირადად შევხვდეთო, გვითხრა ჩოლარიამ. ცხადია, დავყაბულდით, თუმცა, თავმჯდომარის მოადგილემ, დღეს არა მცალია, დაკავებული ვარო, ამიტომ ისევ მისი კომენტარის სატელეფონო ვარიანტს დავჯერდით.

— ოფიციალურად გეუბნებით, გიორგი რევაზიშვილთან სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი პირნათელნი არიან, ყველაფერი გასტუმრებული გვაქვს. ეგაა, რევაზიშვილს სპონსორები დაპირდნენ გარკვეულ თანხას, რომელსაც, ალბათ, იანვარში მიიღებს. მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორობისთვის, ევროპის ჩემპიონატის მოგებისა და პრიზიორობისთვისაც გიორგის დეპარტამენტისგან ფული მიღებული აქვს, რაც ჩემთან საუბრისასაც აღნიშნა.

სულ ეს იყო ჩვენი და ვალერი ჩოლარიას სატელეფონო საუბარი, რომლის მერე, ბუნებრივია, ეს გავიფიქრეთ: საქმე მართლაც ჩახლართულია და სიმართლეც მისაკვლევი, ერთი კი ფაქტია — ასეთი ვითარება ჩვენს სპორტს ვერ ახეირებს.

**კობა ვახტანგიშვილი**

# ზავი თუ ახალი ქარიშხალი

ვნებათაღელვა ჩაცხრა. ფეხბურთის ფედერაცია გამარჯვებას ზეიმობს. ჩვენი ფეხბურთის მამები ყველაფერს ფიფა-უეფას უნდა უმადლოდნენ. რომ არა ამ კონსერვატული და მიუკარებული ორგანიზაციების მეტად კატეგორიული მოთხოვნები, დეპარტამენტი თავისას გაიტანდა და დეკემბერშივე ფეხბურთის ფედერაციას ალბათ ახალი თავკაცები ეყოლებოდა. ასე არ მოხდა. ახლა დეპარტამენტი იძულებულია, გაჩუმდეს. მხარეებს შორის ზავი ჩამოვარდა, ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა სამი თვით მაინც. მერე იქნება ყრილობისთვის მზადება და ახალი აჟიოტაჟი. ვინ იმარჯვებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კი ფაქტია, დეპარტამენტი მარცხს ასე იოლად არ შეეგუება, რევანშის აღებას გარკვეცებული ჟინით და ენერგიით ეცდება. ახლანდელი დუმილი ქარიშხლის ამოვარდნას უნდა მოასწავებდეს.

პრეზიდენტის ბრძანებულებამ დეპარტამენტის ბრძანება რომ გააუქმა, იქ სხვა სიკეთესთან ერთად ისიც ეწერა — ორივე მხარე ერთად შეიკრიბეთ, დასხედით და მტყუან-მართლის გარჩევას, გირჩევთ, ქართული ფეხბურთის აღორძინებაზე ერთად იფიქრეთო. ეს კი ერთობ გაძნელდება ცხვარ-მგელის დაძმობილება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ამათი შერიგება. ყოველ შემთხვევაში, საქმეს ასეთი პირი უჩანს.

ბოლო-ბოლო რა ელის ტანჯულ ქართულ ფეხბურთს? საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვა საბოლოოდ რომ აგვცდა, ამას ფიფა-უეფადან მოსული მორიგი ფაქსებიც ადასტურებენ. ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი გვაიმედებს, რომ დეპარტამენტის ბრძანების გაუქმების შემდეგ ფიფა სანქციებს აღარ მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ. ფაქტობრივად იგივეს იტყობინება უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს უფროსი ერიხ ეპლე. ორივენი ერთად კი მოითხოვენ აღნიშნულ საკითხზე მუდმივად ჰქონდეთ ცნობები.

როდის გაგვახარებს ფიფა-უეფა მორიგი ფაქსებით, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ბარაქიანი ზამთარ-გაზაფხული რომ გველის, ფაქტია. აღმასკომი, ნაკრების თავკაცი, ყრილობა, არჩევნები, ყველაფერი ერთმანეთს გადაეჯაჭვა. მოკლედ, მღელვარე საფეხბურთო ინტრიგები და ბატალიები მოგველის.

# წიწილებს 24 დეკემბერს დაითვლიან

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ გვაცნობა, რომ აღმასკომის სხდომა 24 დეკემბრისთვის გადაიდო: „დინამოს" ხელმძღვანელებმა გვთხოვეს, დავით ყიფიანი ამსტერდამში უნდა გაემგზავროს, 24 დეკემბრამდე ვერ დაბრუნდება და იქნებ აღმასკომი სწორედ ამ დღეს გამართოთო. ჩვენ გავითვალისწინეთ მათი თხოვნა, რადგანაც აღმასკომზე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დავით ყიფიანის ანგარიში უნდა მოვისმინოთ. მის გარეშე სხდომის მოწვევას რა აზრი ექნება".

როგორც შევიტყვეთ, ყიფიანი ამსტერდამში „აიაქსის" ინფრასტრუქტურისა და გუნდის სამუშაო ატმოსფეროს ახლოს გასაცნობად მიემგზავრება. ეს ვიზიტი „დინამოს" თავკაცებს ამსტერდამელთა მწვრთნელ მორტენ ოლსენთან შეუთანხმებიათ. ყიფიანი ნიდერლანდელებს უახლოეს დღეებში გაემგზავრება.

# კობიაშვილი და კალაძე დინამოში დარჩებიან

საბოლოოდ შეიძლება იმის თქმა, რომ ლევან კობიაშვილი და კახი კალაძე მომავალ ევროტურნირებზე თბილისის „დინამოში" ითამაშებენ და ეროვნულ ჩემპიონატსაც „დინამოში" ჩაამთავრებენ. ასე რომ, თუ თბილისელები ჩემპიონობას შეინარჩუნებენ, ლიგის თამაშებსაც გაძლიერებული შემადგენლობით ჩაატარებენ.

ჩემპიონთა ლიგა
მეექვსე ტურის მატჩები. 10 დეკემბერი

CHAMPIONS LEAGUE

# დიდი ფეხბურთის საოცარი დღე

### A ჯგუფი

**სპარტა 0:3 დორტმუნდი**

0:1 მიოლერი (30), 0:2 კიროვსკი (47), 0:3 ბუთი (71)

**გალათასარაი 1:1 პარმა**

0:1 კიეზა (46), 1:1 ილიე (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:3 | 15 |
| პარმა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| სპარტა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |

### B ჯგუფი

**კოშიცე 0:1 ფეიენოორდი**

0:1 ვან ბრონკჰორსტი (81)

**იუვენტუსი 1:0 მანჩესტერი**

1:0 ინძაგი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| იუვენტუსი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:8 | 12 |
| ფეიენოორდი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:10 | 9 |
| კოშიცე | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | 0 |

### C ჯგუფი

**ეინდჰოვენი 2:2 ბარსელონა**

0:1 აბელარდო (32), 1:1 იონკი (54), 2:1 დე ბილდე (56), 2:2 ჯოვანი (67)

**ნიუკასლი 2:0 დინამო**

1:0 ბარნსი (10), 2:0 პირსი (21)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 11 |
| ეინდჰოვენი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| ბარსელონა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:14 | 5 |

### D ჯგუფი

**რეალი 4:0 პორტუ**

1:0 იერო (5), 2:0 შუკერი (30), 3:0 რობერტო კარლოსი (50), 4:0 შუკერი (73)

**ოლიმპიაკოსი 2:2 რუსენბორგი**

1:0 მავროგენიდისი (48), 1:1, 1:2 რუშფელდტი (49, 69), 2:2 ჯორჯევიჩი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:4 | 13 |
| რუსენბორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |
| პორტუ | 6 | 1 | 1 | 4 | 3:11 | 4 |

### E ჯგუფი

**ბაიერნი 0:1 გიოტებორგი**

0:1 ბაბელი (51ს.კ.)

**პსჟ 2:1 ბეშიქთაში**

1:0 გავა (24), 1:1 მეჰმეთი (38), 2:1 სიმონე (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:6 | 12 |
| პსჟ | 6 | 4 | 0 | 2 | 11:10 | 12 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| გიოტებორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:9 | 6 |

### F ჯგუფი

**სპორტინგი 2:1 ლიერსი**

0:1 ჰააგდორენი (27), 1:1 რამირესი (46), 2:1 ხიმენესი (67)

**ლევერკუზენი 2:2 მონაკო**

1:0 ბაინლიხი (29), 2:0 მეიერი (57), 2:1 პინიოლი (63), 2:2 ანრი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| სპორტინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| ლიერსი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

მაშ ასე, გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც გაზაფხულზე ჩემპიონთა თასის პლეი-ოფში მიიღებენ მონაწილეობას. ესენია:

**დორტმუნდი, მანჩესტერ იუნაიტედი, დინამო, რეალი, ბაიერნი, მონაკო, ლევერკუზენი და იუვენტუსი**

მეოთხედფინალის კენჭისყრა 17 დეკემბერს გაიმართება, თავად მეოთხედფინალი კი გაისად 4 და 18 მარტს.

კენჭისყრისას ერთმანეთს დააცილებენ ერთი და იმავე ჯგუფიდან გასულ წყვილებს და საუკეთესო მეორე ადგილზე გასულ ორ გუნდს.




ხვალ, საუდის არაბეთში დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება. აზიის ეს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მესამედ უმასპინძლებს ფიფას კონფედერაციების ჩემპიონთა თასის გათამაშებას, რომელიც 12 დეკემბრიდან 21 დეკემბრამდე გასტანს.
მასალას ტურნირის შესახებ მე-4 გვერდზე იხილავთ

# იყო კაცი, აღარ არის...

გუშინ, ბაქოში 50 წლისა გარდაიცვალა ბაქოს „ნეფთჩის" ცნობილი ფეხბურთელი ანატოლი ბანიშევსკი. 60-70-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გულის შეტევამ იმსხვერპლა. მან მთელი კარიერა მშობლიურ ბაქოს „ნეფთჩიში" გაატარა, ნაკრებში 50-ჯერ ითამაშა, თანაც 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო, 1972-ში კი ევროპის პირველობის ვერცხლის მედლები მოიპოვა. სწორედ ბანიშევსკი ლიდერობდა „ნეფთჩის" იმ გუნდს, რომელმაც 1966 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიგო. ამასთან ერთად იგი 109 გოლით ფედოტოვის ასიანთა კლუბის წევრიც იყო.



ეს ფოტო 1966 წელს, სანდერლენდში, იტალიის ნაკრებთან მატჩის წინაა გადაღებული. ბანიშევსკი მოროზოვის ბოლო მითითებებს ისმენს

# ჯონი ჯანსაღ მერანზე ოცნებობს

მერვე ჩემპიონატში „მერანთან“ წაგებული თამაშის შემდეგ მაშინ ჯერ კიდევ თელავის „კახეთის“ მწვრთნელმა *ჯონი ჯანელიძემ* დაიქადნა: ნავაძისნაირი პრეზიდენტი მყავდეს და მერე ნახავთ, რა შედეგებსაც მივაღწევო. ისე აგიხდათ გულისწადილი, როგორც ჯანელიძეს — „მერანიდან“ განთავისუფლებული თემურ მახარაძის ნაცვლად ნუგზარ ნავაძემ სწორედ მას შესთავაზა გუნდის გაწვრთნა. მაგრამ გამოცდილმა სპეციალისტმა სიტყვა ვერ შეასრულა — შარშანდელი ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი პირველი წრის შემდეგ ოდენ მეცხრეზეა. თუ რატომ, სწორედ ამის ანალიზი ვთხოვეთ ბატონ ჯონის.



ჯონი ჯანელიძე

**— წელს „მერანმა“ ბირთვი შეინარჩუნა, რამაც თქვენს პრეზიდენტს იმედი ჩაუსახა, რომ შარშანდელ შედეგს — მეოთხე ადგილს გააუმჯობესებდით, მაგრამ იმედი იმედად დარჩა, „მერანი“ კი მხოლოდ მეცხრე ადგილს დასჯერდა.**

— საერთოდ, მიღწეულის შენარჩუნება უფრო ძნელია. ჩვენც ასე დაგვემართა, მაგრამ ურიგოდ მაინც არ გვითამაშია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 5 ქულა ჩამოგვართვეს. ამას გარდა, რამდენიმე მოთამაშე დაგვიშავდა. ასეთ პირობებში კი მეტის მიღწევა ძნელი იყო, თუმცა, არა შეუძლებელი. „სამგურალთან“ წაგება და „ბათუმთან“ დაკარგული 8 ქულა (წაგებას 5-ქულიანი სასჯელიც დაემატა საბოლოო შედეგს მეტად დაეტყო. მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი წრე დასრულდა და ბრძოლა სამეულისთვის არ დასრულებულა.

**— ეს ერთობ რთული იქნება, თუ გავითვალისწინებთ მოთამაშეთა განწყობას, მათი და პრეზიდენტ ნავაძის აზრით, წელს „მერანს“ ჩაგრავენ...**

— რა თქმა უნდა, მსაჯთა შეცდომებმა და დასანანმა წაგებებმა მოთამაშეებზე იმოქმედა, მაგრამ მწვრთნელს მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც ევალება. შევეცდები, ბიჭებს რწმენა დავუბრუნო.

**— რას იტყვით თქვენს მიწვეულ ფეხბურთელებზე, შეეწყვნენ გუნდს?**

— ინაშვილი „მერანის“ ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა, ალადაშვილს კი ტრავმებმა შეუშალა ხელი, თორემ ძირითადში დამკვიდრდებოდა. მხოლოდ ბაბულაიძეს გაუძნელდა ახალ გარემოსთან შეგუება. მან პირველად ითამაშა ისეთ გუნდში, რომელიც მაღალი მიზნისთვის იბრძვის, ადაპტაციაც გაუჭირდა და თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა.

**— თქვენი აზრით, „მერანს“ სამეულში მოსახვედრად პოტენცია გააჩნია?**

— შესაძლოა, არც გააჩნდეს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან რამდენიმე მოთამაშის დამატებას და გაძლიერებას ვაპირებთ. ვიმეორებ, ხელი ჯერ არ ჩამიქნევია, მაგრამ ყურადღება გუნდის გაჯანსაღებაზე გადავიტანე, შეკრული გუნდის ჩამოყალიბება მსურს.

**— ეს როგორ გავიგოთ, „მერანში“ არაჯანსაღი ვითარებაა და არც გუნდია შეკრული?**

— არა, მე მხოლოდ წმინდა საფეხბურთო კომპონენტებს ვგულისხმობ — გუნდის გაძლიერებას და ფეხზე დაყენებას.

**— გაძლიერება უფრო სად გჭირდებათ?**

— ნახევარდაცვასა და თავდასხმაში — მართალია, დავითაშვილმა 7 გოლი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

**— გოდერძიშვილი გამოგრჩათ?**

— არა, არ გამომრჩენია. ეს ის ფეხბურთელია, ვისაც უფრო მეტი მოეთხოვება — გოდერძიშვილს წრეში 5 გოლზე მეტის გატანა შეუძლია.

...ვიმეორებ, გარეგნული კეთილდღეობის მიღმა მრავალი პრობლემა გვაწუხებდა: ოთხი მოთამაშე გავასხვისეთ, ამას დარჩენილთა ტრავმები და სამი მოთამაშის დისკვალიფიკაცია დაემატა. ასეთ პირობებში კი ძნელია მაღალ შედეგზე ფიქრი. იმედი თსუ-სთან მოგებამ დაგვიბრუნა — ძალები შეგვმატა და მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ამაშიც დავრწმუნდი: ძირითადების არყოფნისას ახალგაზრდებმა, ჭინჭარაულმა და ბერაიამ გამოიჩინეს თავი. მათ თუ ასე გააგრძელეს საქმისადმი მიდგომა, არა მარტო „მერანში“ მოიკიდებენ ფეხს, არამედ უფრო ძლიერ გუნდებშიც. მათ საამისო პოტენცია გააჩნიათ. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ ურთიერთობა დაამყარა „ფიორენტინას“ თავკაცებთან და შესაძლოა, ეს ორი ახალგაზრდა იტალიურ გუნდში სტაჟირებაზე გაემგზავროს. გარდა ამისა, სიდამონიძე ახლახან ისრაელის ერთ-ერთ გუნდში ჩაირიცხა. ინაშვილიც უცხოეთში წასვლას აპირებს, ისევე როგორც გვენცაძე. მეორე წრისთვის მოსამზადებლად დრო გვაქვს, მანამდე კი ნიჭიერი ახალგაზრდების მოწვევა მსურს.

**— ახალგაზრდების? ნავაძე შედეგს გთხოვთ, თქვენ კი ამას ჯერაც დაუოსტატებელთა ხარჯზე აპირებთ? ასე შედეგს ძნელად მიაღწევთ...**

— სხვა რა გზა მაქვს. ვისაც ბურთი გაუგორებია, ყველას უცხოეთისკენ უჭირავს თვალი და ახალგაზრდების მიწვევის გარდა არაფერი დამრჩენია. თანაც ჩვენი პრეზიდენტი შეგნებული ადამიანია და კარგად ესმის, რომ ევროპაში არგასვლა სულაც არ იქნება ტრაგედია. მიჯობს, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბო, სამაგიეროდ მომავლისთვის გვეყოლება ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი კლუბი. ამაში ნავაძეც მეთანხმება.

**— მომზადებას სად აპირებთ?**

— თავიდან თბილისში გავივლით, ბოლო ორ კვირას კი მალთაყვაში ან ყვავილნარში ვივარჯიშებთ.

**— ხუმრობენ, ხუთქულიანი სასჯელი ფედერაციამ ჯონი ჯანელიძისთვის მოიგონაო — ორჯერ ასეთი მკაცრი განაჩენი თქვენს გუნდს გამოუტანეს, შარშან „კახეთს“, ახლა კი „მერანს“...**

— გუნდს გარჯით მოპოვებული ქულები ჩამოაკლონ, არასწორად მიმაჩნია. დაგვსაჯონ მწვრთნელები, პრეზიდენტები, ფეხბურთელები, მაგრამ გუნდის მონაგარს რას ერჩიან? ფედერაციაში ამბობენ, ფულადი ჯარიმა რომ დავაკისროთ, გუნდები თანხას ვერ გადაიხდიან, ისედაც უჭირთო. მაგრამ სასჯელის სხვაგვარი ფორმა არ არსებობს? ქულების დაკლებით ხომ, ფაქტობრივად, გუნდს ვწირავთ.

ჩემი აზრი არასდროს დამიმალავს და ფედერაციის გენერალური მდივნისთვის, დავით კვიციაძისთვის ხშირად გამიზიარებია კიდეც, ისიც ვიცი, რომ იგი ბევრჯერ დამთანხმებია. I ჯგუფში ბოლო, მესამე-მეოთხე ადგილზე გასულთაგან დამარცხებულმა II ჯგუფის მესამე-მეოთხე ადგილოსანთა შორის გამარჯვებულთან ჯგუფში ადგილი რატომ უნდა გაითამაშოს? ეს ხომ ჩემპიონატში ხელოვნურ დაძაბულობას ქმნის. იქნებ, ამ მესამე-მეოთხეებს შორის ქულათა საკმაო სხვაობაა? საკმარისია, ერთი გუნდი ავტომატურად გავარდეს, ბოლოდან მეორეზე გასულმა კი II ჯგუფის ვიცე-ჩემპიონთან I ჯგუფის ადგილი გაითამაშოს.

**— ხელოვნური დაძაბულობა რას ნიშნავს? აბა, ჩემპიონატს სხვა რა სჭირდება?**

— დაძაბულობა ევროთასებზე გასასვლელად ისედაც იქნება, საამისოდ ექვსი-შვიდი გუნდი იბრძვის და ჩემპიონატსაც თავისთავად ინტრიგა ეძლევა.

მე მწვრთნელი ვარ და ჩემი კოლეგების ბედიც მაინტერესებს. ნაკრები წლის მანძილზე რამდენჯერმე მიემგზავრება უცხოეთში, ოთხი-ხუთი მწვრთნელი რომ გავაყოლოთ, ცუდი იქნება? იქიდან დაბრუნებულები რაიმე სიახლეს ხომ დანერგავენ? ან საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიჭიერი მწვრთნელები რომ გავუშვათ, ცნობილ სპეციალისტებთან ურთიერთობით ბევრს ისწავლიან და ცოდნას ისევ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გამოიყენებენ. ნუთუ ეს შეუძლებელია? მწვრთნელთა სემინარებზე რაღაცას კი ისწავლი, მაგრამ სპეციალისტად ვერ ჩამოყალიბდები.

ნაკრების მწვრთნელთა დანიშვნაზეც ვიტყვი: გუნდებში დასაქმებულებს აზრი რომ გვკითხონ ამა თუ იმ კანდიდატზე, ურიგო იქნება? ბევრის გამოუცდელობით რამდენმა ნაკრებმა იზარალა — ხომ შეიძლება, მათ კონსულტანტად ცნობილი სპეციალისტები მივამაგროთ? ეს სასურველიც იქნება. მოკლედ, ფედერაციასა და მწვრთნელებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

**მერაბ მამულაშვილი**

## დინამო მუშაობას შეუდგა

როგორც „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვაცნობა, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი დიდად არის დაინტერესებული ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებით და საამისოდ სათანადო კომპლექსური გეგმაც შეუმუშავებიათ, რომელიც 1998-2005 წლებს მოიცავს. თავის პროგრამას „დინამო“ ამ დღეებში წარუდგენს შესაბამის კომისიას. გერმანიის, ნორვეგიის, შვედეთის, ბულგარეთის, უკრაინის, რუსეთისა და თურქეთის გამოცდილებაზე დაყრდნობილი ჩემპიონთა გეგმა კი ალბათ სასარგებლო იქნება. იმედია, „დინამოს“ სხვა კლუბებიც მიბაძავენ და ისინიც თავიანთ სიტყვას იტყვიან ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

## გაისად შარშანდელი მასპინძლები გვესტუმრებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძის თქმით, 1998 წელს მოსალოდნელია ევროპულ ნაკრებთა სტუმრობა.

გემახსოვრებათ, 1996 წელს ჩვენმა ეროვნულმა გუნდა ამხანაგური მატჩები რომ გამართა კვიპროსში, საბერძნეთში, რუმინეთსა და ნორვეგიაში. საპასუხო შეხვედრების საქართველოში ჩატარებაც მაშინვე დაიგეგმა. სიტყვა სიტყვაა და მას შესრულება სჭირდება. ანდრიაძის თქმით, ბრიუსელში 18 იანვარს ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ დაზუსტდება შეხვედრათა თარიღები. „გარდა იმისა, რომ შეთანხმება არსებობს, ნორვეგიისა და რუმინეთის ნაკრებები მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშამდე სპარინგ-პარტნიორებს ჰაერივით საჭიროებენ და ვფიქრობ, მათთან მოლაპარაკება არ უნდა გაგვიჭირდეს“.

6-10 თებერვალს კი ჩვენი ნაკრები მალტის საერთაშორისო ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მასპინძელთა და რეზო ძოძუაშვილის ლატვიის ნაკრების გარდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენი ამასწინანდელი მეტოქე პოლონეთიც, ითამაშებს.

## გაგვიშვითო

ტყუპი გიგიაძეები „ტორპედოში“ შარშან ახალგაზრდული „რწმენიდან“ მოვიდნენ. მერვე ჩემპიონატში სოსო ფრუიძე ძმებს ენდობოდა და ძირითადშიც ხშირად ათამაშებდა. ვასომ, რომელიც ნახევარდაცვაში გამოდიოდა, 17 მატჩში 2 ბურთი გაიტანა, სოსო მცველია და 13 შეხვედრა უგულოდ ჩაატარა. ძმებს მეცხრე ჩემპიონატის სასტარტო მატჩებშიც ვხედავდით მოედანზე, მაგრამ „ტორპედოში“ ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ გიგიაძეებს საქმე აერიათ. მათ უარი უთხრეს გუნდში თამაშის გაგრძელებაზე. ამასწინათ ვიტყობინებოდით, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სხვა „ტორპედოელებთან“ ერთად ისინიც ტრანსფერზე წარდგენილებად გამოაცხადა. თუმცა, როგორც ირკვევა, გიგიაძეებს მოვლენებისთვის დაუსწრიათ. მათ ჯერ კიდევ ოქტომბერში მიუმართავთ ფედერაციისთვის „ტორპედოში“ აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე. ძმებს მიაჩნიათ, რომ კლუბმა მათთან კონტრაქტის პირობები დაარღვია ხელფასისა და პრემიების გაცემისას. ისინი გუნდიდან გათავისუფლებას მოითხოვენ და ახლა ფედერაციის გადაწყვეტილებას ელიან, რომელიც, რატომღაც, იგვიანებს. თანხას რაც შეეხება, ვასოს მისი ნახევარი აქვს მიღებული, მის ტყუპისცალს კი ერთი თეთრიც არ რგებია.

მოკლედ, გიგიაძეებს ტრანსფერზე ყოფნა ხელს არ აძლევთ და არც უმუშევრად დარჩენას აპირებენ. სხვათა შორის, მათ უკვე პირველი ჯგუფის გუნდები — „სამგურალი“ და თსუ — შეეხმიანენ. თანაც, უცხოეთში თამაშის ვარიანტიც გაუჩნდათ.

## ბოლშევიკთა საქმე ცოცხლობს

ახლახან დასრულდა აფხაზეთის მეოთხე პირველობა ფეხბურთში, რომლის გამართვასაც სეპარატისტთა ლიდერები დიდ პროპაგანდისტურ მნიშვნელობას ანიჭებენ.

„რესპუბლიკა აბხაზიას“ ცნობით, წლევანდელი პირველობა ბიჭვინთის „კიარაზმა“ მოიგო. „კიარაზი“ აფხაზ ბოლშევიკთა მიერ ჩამოყალიბებული რაზმი იყო, რომელიც 1918-21 წლებში აფხაზეთში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთვის იბრძოდა. მან 5 ქულით გაუსწრო პირველი წრის ლიდერ სოხუმის „ასკ-დინამოს“, რომელმაც მეორე წრეში არასტაბილურად ითამაშა. ბიჭვინთელებმა 18 მატჩში 44 ქულა დააგროვეს, სოხუმელებმა — 39. მესამე ადგილზე ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის გუნდი „ბზანა“ — 38 ქულა.

შარშანდელი ჩემპიონი, ოჩამჩირის „ერცახუ“ 26 ქულით წელს მეხუთე ადგილს დასჯერდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. რაც მთავარია, მას თავკაცი დააკლდა — წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვალერი დელბა თებერვალში გარდაიცვალა. სხვათა შორის, „რესპუბლიკა აბხაზიაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი იუწყებოდა, რომ იგი 60-იანი წლების მიწურულს სსრ კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. ნეკროლოგის ავტორებს რატომღაც კლუბის აღნიშვნა დაავიწყდათ — ვალერი დელბამ ერთი სეზონი ქუთაისის „ტორპედოში“ გაატარა, შემდეგ კი სოხუმის „დინამოში“ თამაშობდა, ოღონდ უკვე საბჭოური ჩემპიონატის მეორე ლიგაში. ის კი გაახსენდათ, რომ გარდაცვლილი 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში აქტიურად ეხმარებოდა აფხაზ სეპარატისტთა წამყვან ორგანიზაციას — „აიდგილარას“. როგორც ჩანს, აფხაზეთში ამ ფაქტის აღიარება უფრო მთავარია.

კვლავ აფხაზეთის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ: გაგრის „დინამომ“, რომლის მწვრთნელიცაა ყოფილი ფეხბურთელი რობერტ ბოსტანჯიანი (იგი 80-იან წლებში სოხუმის „დინამოში“ თამაშობდა, შემდეგ — აბოვიანის „კოტაიკში“), მეოთხე ადგილი დაიკავა.

„რესპუბლიკა აბხაზიას“ ცნობითვე, ამ ორი თვის წინ სოჭის „ჟემჩუჟინას“ გაგრაში ამხანაგური მატჩი ჩაუტარებია „დინამოსთან“ და 3:8 წაუგია. თუმცა, გაზეთში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რა ასაკის ფეხბურთელები ჩამოიყვანა „ჟემჩუჟინამ“ და იყო თუ არა ეს სოჭელთა ასეთი მარცხის მიზეზი.

წლევანდელი ჩემპიონატიდან ტურნირის ორგანიზატორებმა გუდაუთის „რიწა“, ბესლახუს „ამრა“ და ტყვარჩელის „შახტიორი“ გარიცხეს, რადგან მათ აფხაზთა ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო თანხა არ შეიტანეს. საერთო ჯამში წელს პირველობაში 11 გუნდი ჩაება და იგი მხოლოდ 8-მ დაასრულა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში — 1994-97 წლებში — „კიარაზი“ მეორედ გახდა აფხაზეთის ჩემპიონი. თითოჯერ იმარჯვეს ოჩამჩირის „ერცახუმ“ და გუდაუთის „რიწამ“.

წელს აფხაზეთის თასიც გათამაშდა. იგი მეორედ მოიგო ოჩამჩირის „ერცახუმ“, რომელმაც ფინალში 2:1 დაამარცხა ბიჭვინთის „კიარაზი“.

**თენგიზ ბაჟღორია**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

## რობიზონი კუნძულზე მიდის

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტ რობიზონ ქინქლაძისგან ერთი თვის წინ შევიტყვეთ, რომ ინგლისელ საქმოსანთა ჯგუფი მისი გუნდის სპონსორობით დაინტერესებულა. დეკემბრის ბოლოს ბატონი რობიზონი ინგლისში გამგზავრებას აპირებს. ამჯერად უფრო კონკრეტულად მოილაპარაკებენ, რა სახის თანამშრომლობა დამყარდება მათ შორის.

## ისრაელი: აღთქმული მიწა ქართველთათვის

ებრაულ ლიგას ქართველები ისე შეესივნენ, როგორც ერთ დროს რუსულს. შარშან ისრაელში ეულად მოთამაშე კაკო დევაძეს წელს იმდენი ქართველი შეუერთდა, ერთ ხეირიან გუნდს რომ შექმნიდა. დარასელია, ანჩაბაძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ბახვა ამიძე, ფანჩულიძე, ტულუში და ამირან მუჯირი საქართველოს ჩემპიონატში ბოლო როლებს როდი ასრულებდნენ. ამათ ახლახან იქაურ მეორე ლიგაში მოწყობის მსურველი მაზიაშვილი, ელდარ გვასალია და ივანე ჯუღელიც შეემატნენ. ჩანს, ისრაელის მიწა ქართველთათვის უფრო აღთქმული, ვიდრე საქართველოდან ასულ ებრაელთათვის — ამათგან პირველ ლიგაში მხოლოდ ერთი ბენი კოზიაშვილი თამაშობს. ცოტა ხნის წინ „ოდიშმაც“ განაცხადა, ჩვენი საუკეთესო თავდამსხმელი და იმედი კობა წიტაიშვილიც ისრაელში გავყიდეთო. ეგ იყო, ზუგდიდელებმა ცოცხალი თავით კლუბი არ გაამხილეს. თბილისის „დინამოს“ და ქართული ფეხბურთის იმედი გიორგი დემეტრაძეც ახლახან ისრაელის გზას დაადგა. მოკლედ, ქართველები ისრაელში თავის გამოჩენას დიდად კი ეშურებიან, მაგრამ ეს მრავალთაგან ყველაზე უკეთ, ცხადია, დევაძემ და დარასელიამ შეძლეს.

ქართველისგან ებრაელები მარადონას დარ თამაშს ითხოვენ. ქართველი თუ ხარ, გუნდს ყველა თამაში უნდა მოაგებინოო — გვითხრა გიორგი დარასელიამ — ასე თუ მივუდგებით, ბუნებრივია, ბიჭებს ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ დევაძე, ფანჩულიძე, მუჯირი, ყიზილაშვილი და ანჩაბაძე თავიანთ გუნდებში საუკეთესონი არიანო. კერძევაძისთვის ტრავმას შეუშლია ხელი და თურმე ჯერ მკურნალობს, წიტაიშვილი კი ორიოდ დღის წინ შინ მობრუნებულა, ოღონდ რა პასუხით, უცნობია.

რაც შეეხება თავად დარასელიას გუნდს, ამასაც ტრავმები მორევია. მალევე დაშავებულან გუნდის გასაძლიერებლად მიწვეული სხვა ლეგიონერები. თავად გიორგიმ ფეხი კი მოირჩინა და თამაშობს, მაგრამ პარტნიორებშეთხელებული სასწაულებს ყოველ ტურში ველარ ახდენს. შაბათს თელავივის „ჰაპოელმა“ ძის ფრედ რომ ითამაშა, წინ ერთი ქულით „ბეითარი“ გაუშვა. ძუკუ დაგვპირდა, ვეცდები, შესვენებისას საქართველოში ისე დავბრუნდე, პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც ვიყოთო. პირველი წრის ბოლოს ორი მძიმე თამაში გველის, რადგან შაბათს წამოწეულ მდევართაგან ერთ-ერთს ვხვდებითო.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ფერო ყველაფერს თავიდან იწყებს

როგორც წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, პირველი წრის დამთავრების შემდეგ გორის „დილა“ დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ კიკნაძემ. მიზეზი უცნობია. მისთვის მწვრთნელობა მშობლიურ „მარგვეთის“ ხელმძღვანელობასაც შეუთავაზებია, მაგრამ ფეროს ყველაფერი აუწონ-დაუწონია და არმიის სპორტულ კლუბთან არსებული საფეხბურთო გუნდის ფარმ-კლუბის დაარსება განუზრახავს, რომელიც ალბათ შემდეგი სეზონიდან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის III ჯგუფში გამოვა. მოვლენები როგორ განვითარდება და რითი დასრულდება ეს წამოწყება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელს რომ ახალგაზრდებთან მუშაობა განუზრახავს, ფაქტობრივად თავიდან იწყებს ყველაფერს და თავისი ცოდნის და გამოცდილების გაღრმავებისკენ ილტვის, ნამდვილად მისასალმებელია.


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# თურმე რონალდოც ადამიანია

UEFA CUP

## უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

მერვე თამაშს, რომელიც ქართველ გულშემატკივარს ყველაზე მეტად აინტერესებს, აქ ნუ ეძებთ. შოთა არველაძე და მისი „აიაქსი“ გერმანიაში, „ბოხუმთან“ დღეს თამაშობენ. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ამსტერდამში „აიაქსის“ გამარჯვებით დამთავრდა 4:2.

სამშაბათის შეხვედრებში ყველაზე საშიირო მილანის „ინტერის“ და „სტრასბურისა“ გახლდათ. საინტერესო იყო, შეძლებდა თუ არა იტალიური სერია A-ს ლიდერი ზედიზედ მეორე ფრანგული გუნდის შეჯიბრებიდან გამოთიშვას. თან, პირველ მატჩში „შავ-ლურჯებს“ 0:2 ჰქონდათ წაგებული, ესე იგი მათი ამოცანა 3:0-ის მოგება იყო. დაპირისპირებას ეშხს ისიც მატებდა, რომ „ინტერის“ მიერ მეთექვსმეტედფინალში ძლეული „ლიონიც“ პირველი შეხვედრის შემდეგ უპირატესობას ფლობდა. მას მილანში ჰქონდა 2:1 მოგებული, მაგრამ შინ მაგრად ველარ დადგა და 1:3 წააგო.

მილანელთა სამივე გოლი სამხრეთ ამერიკელებმა გაიტანეს. ანგარიში რონალდომ გახსნა, ბრაზილიელმა, რომელიც ამ მატჩის შემდეგ თავისი ქვეყნის ნაკრებს შეუერთდა საუდის არაბეთში კონფედერაციის თასზე სათამაშოდ. მომენტი ასეთი იყო: მეურვემ რონალდო კარიდან 30 მეტრში წააქცია, რისთვისაც ჯარიმა დაინიშნა. ბურთთან „ინტერის“ ფრანგი გამთამაშებელი იური ჯორკაეფი მივიდა და იგი კვლავ ბრაზილიელს მიუგორა, რომელმაც სტუმართა გოლკიპერის, ალექსანდერ ვენსელის კარის მარჯვენა კუთხეს ზუსტად დაუმიზნა.

ამ გოლით რონალდომ ხასიათი გამოიკეთა. ცუდ გუნებაზე ფორვარდი იმიტომ გახლდათ, რომ გოლამდე თხუთმეტი წუთით ადრე პენალტი ვერ შეაგდო. ეს ასე მოხდა: „სტრასბურის“ სლოვაკმა მეკარემ საჯარიმოს კიდესთან ფეხით სცადა ჯორკაეფისთვის ბურთისართმევა, მაგრამ პენალტით დაისაჯა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან რონალდომ დაარტყა, თუმცა ვენსელს ვერ აჯობა.

მთავარი ანგარიშის დროულად გახსნა იყო. ვინაიდან რონალდომ ეს მაინც მოახერხა, „ინტერმა“ ძალა იგრძნო და თამაშის სადავეები ხელთ იგდო. მართალია შესვენებამდე მეორე გოლი არ გავიდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ამ საქმეს ოთხ წუთში მოაბეს თავი. ხსენებულ ეპიზოდში ფორვარდებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ნიგერიელმა მცველმა ტრიბო ვესტმა პასი ჩააწოდა, არგენტინელმა ნახევარმცველმა ხავიერ ძანეტიმ კი ერთი შეხებით ბურთი ვენსელის კარში შეაგდო.

მესამეც არგენტინელმა შეაგდო. დიეგო სიმეონემ ბურთი მკერდით მიიღო, მეურვეს გასცდა და ისეთი დაარტყა, რომ ვერც ვალერიენ ისმაელმა და ვერც ზემოთ მრავალჯერ მოხსენიებულმა გოლკიპერმა მისი უკუგდება ვერ შეძლეს. ეს ანგარიში მილანელებს აწყობდათ, მაგრამ ერთიც რომ გაეშვათ, ჯამური 3:3 გამოვიდოდა და სტუმრად გატანილი გოლის წესით მეოთხედფინალში „სტრასბური“ გავიდოდა. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში ფრანგებმა მართლაც შეჰქმნეს მეტისმეტად მწვავე მომენტი, ოღონდ ის, მათდა სამწუხაროდ, გოლით არ დასრულებულა, მასპინძლების მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ ჩინებულად იხსნა კარი და გაზაფხულზე თამაშის უფლება.

— დაუჯერებელია, რომ ასეთ შედეგს მივაღწიეთ. უძნელესი ამოცანის წინაშე ვიდექით — ბრძანა „ინტერის“ მილიონერმა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ — ჩვენმა გუნდმა პირველივე წუთიდან მოყოლებული ხასიათის სიმტკიცე აჩვენა. გაცილებით მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, თუმცა სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ მოწინააღმდეგემ ბოლო წუთებში გაგვაწვალა. რაც შეეხება რონალდოს პენალტს, ვგონებ ბრაზილიელმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და ყველას დაანახა, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია.

„შალკემ“ „ბრაგას“ მეორე ტაიმში გაუტანა ორი გოლი და როგორც მოსალოდნელი იყო, შეჯიბრებიდან გამოთიშა. შეხვედრის ესპანელმა არბიტრმა მანუელ დიას ვეგამ 39-ე წუთზე მოედნიდან გააძევა პორტუგალიელი ნუნუ. დანაშაული მასპინძელთა ბელგიელი თავდამსხმელის მარკ ვილმოტსის საჯარიმოს წინ მოცელვა გახლდათ, მაგრამ, როგორც ვიდეოჩანაწერმა ცხადჰყო, ნუნუ არაფერ შუაში გახლდათ. ვილმოტსი სერჟიო აბრეუს წაუქცევია, მსაჯს კი შეეშალა და ნამდვილი დამნაშავის ნაცვლად სხვა გაუყენა გასახდელის გზას.

გელზენკირხენელები პირველ ტაიმშიც ლაზათიან უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ტაბლოს ოპერატორს საქმე მხოლოდ შესვენების შემდეგ გაუჩინეს. თამაში ახალგანახლებული იყო, როდესაც მათმა ფორვარდმა მარტინ მაქსმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ერთი ხნის შემდეგ ჰოლანდიელმა რენე აიკელკამპმა ვილმოტსის პასით მეორედ დასცა პოლონელი ანჯეი ვოზნიაკის კარი.

აღსანიშნავია, რომ „შალკეს“ პირველ ტაიმშიც შეეძლო გოლის შეგდება, მაგრამ მე-11 წუთზე ისევ და ისევ ვილმოტსმა ხარიხას გაარტყა ბურთი, შესვენებამდე ერთი წუთით ადრე კი ვოზნიაკს ვერ აჯობა.

— მეორე ტაიმში ბევრი შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ფეხბურთელები კონცენტრირებულნი იყვნენ და შეძლეს გამარჯვებამდე საქმე ზედმეტი რისკის გარეშე მიეყვანათ — შეაფასა შეხვედრა გერმანული გუნდის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა, რომელმაც, როგორც ადრეც მოგახსენეთ, კლუბთან 2001 წლამდე დასდო ახალი კონტრაქტი.

— იმან, რომ „ბრაგას“ მოთამაშე გაუძევეს, ცხადია, საქმე შედარებით გაგვიიოლა, მაგრამ ფაქტია, გაძევება სამართლიანი იყო, თუმც დასჯილი სულ სხვა ფეხბურთელი აღმოჩნდა — ასეთი იყო „შალკეს“ კაპიტნის ოლაფ ტონის აზრი.

მადრიდში ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა ხოსე ლუის კამინერომ „ატლეტიკო“ მეოთხედფინალში გაიყვანა. ესპანელთა მეტოქე ერთობ ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ზაგრების „კროაცია“ გახლდათ. პირველ შეხვედრაში 1:1-ის შემდეგ მასპინძლებს, ბუნებრივია, 0:0-იც ყოფნიდათ, მაგრამ როგორც მაღალი კლასის გუნდს შეფერის, „ატლეტიკომ“ ამოცანად გამარჯვება დაისახა და მიაღწია კიდეც თავისას. კამინეროს საგოლე პასი კარლოს აგილერამ მიწოდა. აღსანიშნავია, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას სწორედ აგილერა, კამინერო და კამპანია ფლობდა. მათ მრავლად შექმნეს სახიფათო მომენტი და ჩათვლილის გარდა ერთი არჩათვლილიც შეაგდეს. ეს არჩათვლილი ჩეხი რადეკ ბეიბლის თაური გახლდათ, არჩათვლის მიზეზი — ოფსაიდი, თუმცა ერთობ საეჭვო. მადრიდელთა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟუნინიომ მეორე ტაიმში ორჯერ გაარტყა ხარიხას, მაყურებელმა კი მოქდანზე ბლომად მაშხალა გადაყარა, რის გამოც რამდენჯერმე შეწყდა თამაში. კიდევ, საინტერესო (ვისთვის კი მტკივნეული) გახლდათ ტრიბუნაზე ამტყდარი შეხლა-შემოხლა ესპანეთის დედაქალაქის პოლიციის რაზმსა და ხორვატ გულშემატკივრებს შორის.

ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ ადგილი რვა გუნდს შორის სავო მილოშევიჩისა და იან ს გოლების წყალობით დაიბევა. ინგლისელების მოწინააღმდეგე გახლდათ ბუქარესტის „სტიაუა“, საკმაოდ გამოცდილი გუნდი, რომელსაც პირველ შეხვედრაში 2:1 ჰქონდა მოგებული. როგორც ადრე ვწერდით, რუმინელებმა ბირმინგემს თავიანთი ყოფილი ფეხბურთელები იახლეს, ისინი, ვინც კლუბის დიდი ზეობის ხანაში ევროპის ჩემპიონთა თასს ფლობდნენ. „სტიაუას“ მწვრთნელს და გუნდის სხვა ხელმძღვანელებს მიაჩნდათ, რომ ცნობილ წინამორბედთა შემხედვარე ახალგაზრდები ერთიორად გამხნევდებოდნენ და „ასტონ ვილასთან“ სასურველ შედეგს მიაღწევდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. მილოშევიჩმა, რომელიც „ვილამ“ გასულ ზაფხულს ლამის გაჰყიდა, თამაშის დამთავრებამდე 19 წუთით ადრე გახსნა ანგარიში. ირლანდიელი სტივ სტონტონის შორიდან გადაგდებული ბურთი სტენ კოლიმორმა მილოშევიჩს გადააწოდა და იუგოსლაველმა დაბალი დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარში შეაგდო.

თამაშის დამთავრებამდე 5 წუთი რომ რჩებოდა, ტეილორმა მეორე გაიტანა. იგი სტუმართა მცველებს დაუსხლტა და მეკარე ზოლტან რიტლს უშეცდომოდ დაურტყა.



REUTERS ბირმინგემიდან

ასტონ ვილა — სტიაუა. იან ტეილორს მეორე გოლი გააქვს

საერთოდაც, „ასტონ ვილა“ თავიდანვე დაეუფლა ინიციატივას და პირველი სახიფათო მომენტი მეხუთე წუთზევე შექმნა. იმ ეპიზოდშიც ტეილორმა დაარტყა საჯარიმო მოედნის კიდიდან, მაგრამ მაშინ რიტლმა ლამაზი ხახტომით კუთხურზე გადააგდო ბურთი. შემდეგ, მე-18 წუთზე, ასე 20-22 მეტრიდან სტონტონმა გაარტყა ძელს, ორიოდ წუთში კი კოლიმორმა იმკვირცხლა, საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ რიტლს ვერ აჯობა. აღსანიშნავია, რომ რაც „ლივერპულიდან“ „ვილაში“ მრავალ მილიონად გადავიდა, კოლიმორმა ორად ორჯერ შეძლო მეტოქეთა კარში გოლის გატანა. ზანგ ფორვარდს შესვენებამდე ერთხელაც მიეცა გოლის შეგდების შესაძლებლობა, თუმცა ვერც მარკ დრეიპერის პასს მისცა სათანადო მიმართულება — 12 მეტრიდან ააცილა მიზანს.

მეორე ნახევრის დასაწყისში ტეილორს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა — ვერ მოახერხა. პირველად თაური დაჰკრა, მაგრამ მეკარემ აუღო, მეორედ კი საჯარიმოში შეჭრილმა რამდენიმე გოჯით უზუსტოდ დაარტყა.

კიდევ ჰქონდათ მასპინძლებს მომენტი. ისევ კოლიმორმა ააცილა. მილოშევიჩის რეიდი მან საჯარიმოს მარცხენა ნაპირიდან კარის მარჯვენა კუთხეში ბურთის ვერშეგდებით დაასრულა.

იტალიის დედაქალაქში „ლაციომ“ ვენის „რაპიდს“ უმასპინძლა, 1:0 მოუგო და ეს გოლი ავსტრიის დედაქალაქში გატანილ ორს დაამატა. ამრიგად, მეოთხედფინალში რომაელები ჯამური 3:0-ით გავიდნენ. შეხვედრის ერთადერთი გოლი „სტადიო ოლიმპიკოზე“ თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ნახევარმცველმა ჯორჯო ვენტურინიმ შეაგდო. ასისტენტობა ვენტურინს „ლაციოს“ ცნობილმა თავდამსხმელმა პიერლუიჯი კაზირაგიმ გაუწია. კაზირაგის პასს ვენტურინის 20 მეტრიდან ზუსტად დარტყმული მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ეს წარმატება რომაელთათვის სერია A-ში ზედიზედ ორ წაგებას მოჰყვა და ცხადია, სვენ გორან ერიკსონის ქვეშევრდომებს გუნებ-განწყობა გამოუკეთა.

„ოსერიც“ რვა უძლიერესს შორის მოხვდა, არადა, გუნდი თავდაპირველად უეფას თასზე არც იყო დაშვებული, მან ინტერტოტოდან დაიწყო. ინტერტოტოს თასიდან დაწყება და წარმატებული სვლა ფრანგული გუნდებისთვისაა დამახასიათებელი. მოგეხსენებათ, ორი გათამაშების წინ „ბორდომ“ გაიარა გზა „უბრალო მუშიდან დირექტორამდე“ ანუ ინტერტოტოდან უეფას თასის ფინალამდე. „ოსერი“ ფინალისგან ჯერ კარგა შორსაა, მაგრამ ჰოლანდიური „ტვენტეს“ ძლევით, როგორც გითხარით, მეოთხედფინალამდე გაიკაფა გზა. საფრანგეთის ყოფილმა ჩემპიონმა სტივ მარლეს დარტყმით გახსნა ანგარიში, მეორე კი გუნდის მეგოლემ სტეფან გივარშმა შეაგდო.

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ჯანმრთელობააღდგენილმა მარლემ ბურთი საჯარიმო მოედნის მარჯვენა კიდეში მიიღო და მყისიერი ცაცია დარტყმით სტუმართა მეკარე სანდერ ბოშკერი დაამარცხა. ამის შემდეგ „ოსერს“ აღარ უნერვიულია. სუსტმა ჰოლანდიურმა გუნდმა საპირისპიროდ ველარაფერი შესთავაზა. 78-ე წუთზე კი „ტვენტეს“ რუსმა მოთამაშემ სერგეი აიუპოვმა შეცვლაზე შესული თომას დენიო წააქცია და პენალტით დაისაჯა. თერთმეტმეტრიანი გივარშმა დაარტყა ზუსტად. ამრიგად, მარტში „ოსერი“ თავის მეხუთე ევროპულ მეოთხედფინალში მიიღებს მონაწილეობას.

ბოლოს კი მოსკოვის „სპარტაკზე“: „კარლსრუემ“ რუსეთის ჩემპიონს შინ ვერ მოუგო და დაისაჯა. მოსკოვის „დინამოს“ საძაგელ მოედანზე, რომელსაც საფარქვეშა გათბობამაც ვერაფერი უშველა, გუნდებმა ძირითად დროში ვერაფერი დააკლეს ერთმანეთს. ეს თამაში თხუთმეტგრადუსიან ყინვაში მიმდინარეობდა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. მე-10 წუთი იყო, როდესაც ვალერი კეჩინოვს და იგორ ტიტოვს ერთიდაიმავე ძელისთვის მოესწროთ ბურთის მორტყმა. მოსკოველთა ამგვარი აღტყინება გასაგები იყო, რუსებს, მას მერე, რაც მათმა ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ ვერ გაიკაფა გზა, საერთაშორისო სარბიელთან გამოთხოვება საგანგებოდ დაწყვეტდა გულს.

„კარლსრუეს“ მეკარემ კლაუს რაიტმაიერმა თავის მხრივ ყველა ღონე იხმარა, რათა მეოთხედფინალში მოსკოველები კი არა, ის და მისი თანაგუნდელები გასულიყვნენ სამისოდ მან მეორე ტაიმში დმიტრი ალენიჩევსა და ანდრეი ტიხონოვს ორი ძნელადასაღები დარტყმა გაუუვნებლა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

გერმანელთა გუნდის კაპიტანსა და ჯარიმების დიდოსტატს თომას ჰესლერს დამატებითი დროის მე-9 წუთზე ჰქონდა ოსტატობის გამოვლენის საშუალება, მაგრამ მისი 20 მეტრიდან დარტყმული მიზანს ასცდა. სამაგიეროდ მიზანს არ ასცდა მასპინძელი ალექსანდრ შირკოს დამიზნებული და სწორედ ამ გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი, პირველად ისტორიაში მოსკოვის „სპარტაკი“ უეფას თასის მეოთხედფინალში გავიდა.

„კარლსრუეს“ მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი თამაშის წინ ჩიოდა, მოედანი საძაგელია, მოსკოვში თვეზე მეტია თოვს და ყინავს, მაგრამ თამაშზე მივლინებულმა უეფას დელეგატმა, ჩეხმა ლუდეკ მაცელმა ასეთ პირობებში თამაში დასაშვებად ჩათვალა, თუმცა აღნიშნა, პირობები იდეალურისგან მართლაც შორს არისო.

— იმთავითვე ვიცოდი, რომ ყველაზე მეტი, რაც შეგვეძლო მოგვეხერხებინა, არწაგება იქნებოდა. მოგებით ჩვენ ვერ მოვიგებდით. გარდა ამისა, როგორც გნებავთ ჩამომართვით, გუნდს აიძულო ასეთ მოედანზე გეთამაშოს, ერთგვარი თავხედობაა — ბრძანა შეფერმა

**პაპუნა ძიძია**

### უეფას თასის მერვედფინალი
განმეორებითი მატჩები. 9 ოქტომბერი

UEFA CUP

*ინტერი (იტალია)* — სტრასბური (საფრანგეთი) 3:0 (0:2)
**1:0 რონალდო (28), 2:0 ძანეტი (49), 3:0 სიმეონე (74)**
*შალკე (გერმანია)* — ბრაგა (პორტუგალია) 2:0 (0:0)
**1:0 მაქსი (46), 2:0 აიკელკამპი (63)**
*ატლეტიკო (ესპანეთი)* — კროაცია (ხორვატია) 1:0 (1:1)
**1:0 კამინერო (44)**
*ლაციო (იტალია)* — რაპიდი (ავსტრია) 1:0 (2:0)
**1:0 ვენტურინი (87)**
*ასტონ ვილა (ინგლისი)* — სტიაუა (რუმინეთი) 2:0 (1:2)
**1:0 მილოშევიჩი (71), 2:0 ტეილორი (85)**
*ოსერი (საფრანგეთი)* — ტვენტე (ჰოლანდია) 2:0 (1:0)
**1:0 მარლე (4), 2:0 გივარში (743)**
*სპარტაკი (რუსეთი)* — კარლსრუე (გერმანია) 1:0 (0:0)
**1:0 შირკო (110)**

## ინგლისი

XVII ტური. პრემიერ ლიგა

**შეფილდი 2:1 ბარნსლი**

**შეფილდი: პრესმენი, ნოლანი, ჰემბრიჯი, უოლკერი, ჰაიინგები, ბუთი, სტეფანოვიჩი, კოლინზი, რუდი, კარბონე (მაიდი 66), დი კანიო**

**ბარნსლი: ლისი, იდენი, ეპლიბი (ბალოკი 90), შერიდანი, მოუზისი, ლიდელი (შენდრი 86), ბოზანჩიჩი, კრიტანი, უორდი, ბერნარდი, რედფერნი**

**1:0 სტეფანოვიჩი (19), 1:1 რედფერნი (29), 2:1 დი კანიო (88)**

ორივე გუნდი, დასაკარგი რომ არაფერი ჰქონდათ, წინ წავიდა და 25 ათასამდე გულშემატკივარიც ლაღი თამაშის მოწმე გახდა, თუმცა „ბარნსლიზე“ ნაღდად ვერ იტყვი, შეტევაში უნარიანად ირჯებოდაო. მთელი საათნახევრის მანძილზე კუთხური რაა, ის ვერ ჩააწოდეს, მასპინძლებმა კი ეს 12-ჯერ შეასრულეს. უდაოდ ლამაზი იყო დი კანიოს შეგდებული გოლი, რომელიც გარდა მნიშვნელობისა, იმითაც გამოიყოფოდა, რომ სამი მცველის გაპამპულავების შემდეგ გავიდა. სხვათა შორის, „შეფილდ უენსდეიმ“, რაც მწვრთნელად რონ ატკინსონი დანიშნა, ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

## მსაჯები ინტერს არ სწყალობენ

ამ უქმეებზე მსაჯის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისთვის რონალდო და „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი სამშაბათს სერია A-ს სპორტული სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

მათ მსაჯი ფიორენცო ტრეომი „სამპდორია“ — „ინტერის“ მატჩში მილანელთა კარში დანიშნული პენალტის გამო გააკრიტიკეს.

„სინიორი მართლაც დიდებულად წაიქცა. ალბათ, ასეთი რამ მალე მეც უნდა ვისწავლო — თქვა რონალდომ — საერთოდ კი მსაჯები ყოველთვის ნერვიულობენ და იბნევიან, როდესაც მოედანზე „ინტერი“ გამოდის“.

მორატის თქმით, ეს პენალტი უკანასკნელი იყო მისი კლუბის მიმართ მსაჯების მიერ ბოლო დროს ჩადენილ უსამართლობათა სერიაში: „ეს არ იყო პენალტი. ისევე როგორც არ იყო პენალტი არც მილანური დერბისას და არც წინა უიქენდზე „ვიჩენცას“ წინააღმდეგ. ეს ზედიზედ მესამე მატჩია, რომელშიც ჩვენ არარსებული პენალტების გამო ვისჯებით და ამგვარი მდგომარეობის ატანა უკვე შეუძლებელია... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „ინტერის“ თამაშისას მსაჯებს არასრულფასოვნების კომპლექსი ეუფლებათ. არა, მე არ ვეჭვობ მათ მიკერძოებულობაზე. ჩემს დაეჭვებას მხოლოდ მათი პროფესიონალიზმი იწვევს.“

ამის თქმისთვის პრეზიდენტსაც და ფეხბურთელსაც, ალბათ, ჯარიმების გადახდა მოუწევთ.

მათი „დანაშაული“ განსაკუთრებით მძიმდება გასული კვირის მოვლენათა ფონზე, როდესაც სწორედ გაუთავებელ კრიტიკით გაღიზიანებული იტალიელი მსაჯები შაბათ-კვირის მატჩების წინ სიმბოლური 15-წუთიანი გაფიცვის ჩატარებას აპირებდნენ.

გაფიცვის თავიდან აცილება მხოლოდ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასა და მსაჯებს შორის მიღწეულ შეთანხმების შედეგად გახდა შესაძლებელი.

## ჰაანი ანდერლეხტს დაუბრუნდა

„ფეიენოორდთან“ გაშვებულმა არი ჰაანმა ამ კვირაში წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა „ანდერლეხტთან“, კლუბთან, სადაც თავად უთამაშია და 1985-87 წლებში მწვრთნელადაც უმუშავია.

დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა — „ანდერლეხტმა“ შაბათს შინ 1:0 სძლია „ვესტერლოს“ და ცხრილში მე-6 საფეხურზე აინაცვლა, მაგრამ წინ კიდევ გრძელი გზაა და 15 ქულა, რომელიც კლუბს პირველ ადგილზე მყოფ „ბრიუგესგან“ აშორებს. 48 წლის ჰაანის აზრი ასეთია:

„მე კმაყოფილი უნდა ვიყო „ვესტერლოს“ წინააღმდეგ თამაშით, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. აქ წამოსვლამდე წამითაც არ მიყოყმანია. თუკი „ანდერლეხტი“ გიხმობს, უნდა წახვიდე. როგორც მოთამაშემ, ჩემი კარიერის საუკეთესო მონაკვეთი სწორედ აქ განვვლე და დიდებული შთაბეჭდილება არც ჩემს აქაურ სამწვრთნელო მოღვაწეობას ჰკლებია.“

ჰაანის დაბრუნებით გახარებულმა კლუბის პრეზიდენტმა როჯერ ვანდენ სტოკმა კი თქვა: „პროგრესი თითქოს უკვე სახეზეა. ჩემი აზრით, ჰაანი შესაფერისი პიროვნებაა. მას აქვს ევროპული გამოცდილება — ის, რაც მის წინამორბედს, რენე ვანდერაიკენს აკლდა. ვფიქრობ, ეს მრავლისმეტყველი განსხვავებაა.“

# ტურნირი უდროო დროს




— კონფედერაციების თასი ფიფას ორგანიზებულია, ამიტომ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. თუ მასში მონაწილე გუნდი ფეხბურთელს ითხოვს, კლუბმა იგი აუცილებლად უნდა გაუშვას. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოგვარდეს, მაგრამ ჯიუტობა არავის არგებს. წესი წესია, ყველა კლუბი ვალდებულია, ფიფას კანონებს დაემორჩილოს — სწორედ ასე განაცხადა ჟოაო ავლანჟმა, ფიფას პრეზიდენტმა, გასულ ხუთშაბათს, მარსელში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრამდე გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ შეხვედრას ფიფასთან ერთად საუდის არაბეთში გასამართი ტურნირის ვადებით შეწუხებული კიდევ სამი მხარე — იტალიის და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციები და ბრაზილიის ნაკრების თავკაცობა ესწრებოდა. ბჭობის მიზეზი კი ერთმანეთში, და არა მარტო მათ შორის, წამოჭრილი პრობლემატური საკითხები იყო.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით მსოფლიო ფეხბურთში, განსაკუთრებით კი ბებერ კონტინენტზე, დიდძალი ფული


მეფე ფახდის თასი

ტრიალებს. ევროპის და სხვა კონტინენტის ზოგიერთი წამყვანი კლუბის წლიური ბიუჯეტი იქნებ ცალკეულ ქვეყანასაც კი ენატრებოდეს, ამიტომაც მათ არ უძნელდებათ უცხოელ ფეხბურთელთა შეძენა. თითქმის ყველა ძლიერ გუნდში ათამდე ან მეტი ლეგიონერი თამაშობს. კარგ გუნდში სუსტი ფეხბურთელი ვერ მოხვდება, ძლიერი მოთამაშე კი კლუბების გარდა ქვეყნის ნაკრებ გუნდებსაც სჭირდებათ.

ყველა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს. უძლიერესი გუნდი რომ გახდე, ამისთვის ორგანიზებულობა, შეთამაშება და, რაც მთავარია, უბრალოდ გუნდური ფეხბურთის თამაშია საჭირო, მუდმივი ცვლილებებით კი შედეგი არ მიიღწევა. ნაკრებში თამაში ძლიერთა ხვედრია, ასეთები კი, რამდენიმე ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის მოთამაშეთა გარდა, სამშობლოს ფარგლებს გარეთ ბურთაობენ. კონფედერაციების თასზე კი ამჯერად ისეთი გუნდები მონაწილეობენ, რომლის ფეხბურთელთა უმეტესობა სხვა ქვეყნებში იღწვის. ფეხბურთელების ნაკრების ამხანაგურ, ანაც ოფიციალურ მატჩში გამოძახება კი კლუბებს არ სიამოვნებთ. მეტიც, ხანდახან თავად ფეხბურთელები უარობენ მშობლიური ქვეყნის ღირსების დაცვას. ამის მიზეზი მარტივია — კლუბში თამაშისთვის მას საკმაო თანხას უხდიან, ნაკრებში კი შედარებით მცირე ანაზღაურებაა. კიდევ კარგი, ყველაფერს ფული არ წყვეტს.

კლუბებს მოთამაშეთა გაშვება არ უნდათ, ნაკრებს კი ულიდერებოდ თამაში. სიტუაციიდან თავის დასაღწევად ფიფამ გარკვეული წესები დაადგინა, თუმცა გადაწყვეტილებას კლუბების ხელმძღვანელობა მაინცდამაინც არ ალუფრთოვანებია.

ხვალ საუდის არაბეთში კონფედერაციების თასის მორიგი, მესამე გათამაშება იწყება. თავად არაბები ამ ტურნირს, ინიციატორის პატივსაცემად მეფე ფახდის თასის გათამაშებასაც ეძახიან. ათდღიან ტურნირში მონაწილე რვა ქვეყნის ნაკრებების წამყვანი მოთამაშეები საზღვარგარეთ თამაშობენ, აქ კი ზემოხსენებული პრობლემა წამოიჭრა — კლუბებს მოთამაშეთა გაშვება არ უნდათ, ნაკრებებში კი ლეგიონერთა ყოფნა აუცილებელია. მარსელში გამართული სხდომაც სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. იტალიის, ესპანეთის და ბრაზილიის წარმომადგენლები კი იმაზე ბჭობდნენ, რომ კლუბებს ფეხბურთელების ათი დღით დაკარგვა არ სიამოვნებთ.

მაგალითად, ბრაზილიელებმა საუდის არაბეთში ჩასვლამდე ამხანაგური მატჩი ითამაშეს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან. მათი მთავარი მწვრთნელის, მარიო ზაგალოს მიწვეული რამდენიმე მოთამაშე ნაკრების მატჩზე ვერ ჩავიდა. მადრიდის „ატლეტიკომ“ ჟუნინიო არ გაუშვა. ეგ კი არა, კლუბის გენერალურმა დირექტორმა მიგელ ანხელ ხილ მარინმა ისიც განაცხადა, ჟუნინიოს არც კონფედერაციების თასზე გავუშვებთო. ჩავა თუ არა ექსმიდლსბროელი საუდის არაბეთში, ცნობილი არ არის, მაგრამ მან რომ სამშაბათს უეფას თასზე ითამაშა, ეს ფაქტია. ბრაზილიელები „ბარსელონასა“ და „რეალშიც“ არიან, მაგრამ აქ შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარდა საქმე. იტალიაში მილანის ორმა დიდმა გუნდმა კი ტრაგედია შექმნა. ბრაზილიის ნაკრებმა რონალდო სამხრეთ აფრიკასთან მატჩისთვის მოითხოვა. „ინტერმა“ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა... თერთმეტსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ რონალდო თავისთან დაიტოვა სერია, A-შიც ათამაშა და უეფას თასზეც. მეორე მილანურმა გუნდმა „მილანმა“ კარგა ხანს იფიქრა და იკამათა ლეონარდოზე და მის საუდის არაბეთში გაშვებას მაინც ვერ ასცდა. იგივე მოუვიდათ „პარმას“ ზე მარიას და „რომას“ კაფუს გამო.

ანალოგიური სიტუაცია იყო ავსტრალიელთა ბანაკშიც. ტერი ვენეიბლზის გუნდი ძირითადად ევროპის, ისიც ინგლისურ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერებს ეყრდნობა. ამის გამო მწვანე კონტინენტელებმაც გვარიანად ინერვიულეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ მოხვდნენ, ავსტრალიელებს კონფედერაციების თასისადმი ინტერესი შედარებით გაუნელდათ, მაგრამ მონაწილეობაზე უარი მაინც არ უთქვამთ. გუნდი გუშინწინ, სამშაბათს, ეწვია საუდის არაბეთს, სწორედ იმ დღეს, როცა ევროპაში უეფას თასის მეთხედფინალისტები ირკვეოდნენ. ავსტრალიელთა საუკეთესო მეკარე მარკ ბოზნიჩი ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ თამაშობს, გუნდში რომელიც უეფას თასზე მონაწილეობს. ჯერ კიდევ კვირას ინგლისელებმა ავსტრალიის ფეხბურთის ასოციაციას ბოზნიჩის თავისთან დატოვება სთხოვეს, ამათ კი საკითხის გადაწყვეტა ვენეიბლზს მიანდეს. მწვრთნელმა მისი სამშაბათს ნაკრებში ყოფნა აუცილებლად არ მიიჩნია და ბოზნიჩს უეფას თასზე თამაშის საშუალება მისცა, გუშინ კი მეკარე ნაკრებს შეუერთდა.

ზემოხსენებული ორი ქვეყნის ნაკრების დარად ლეგიონერთა პრობლემა სამხრეთ აფრიკელებსაც გაუჩნდათ, თუმცა ამჯერად სიტუაცია უფრო სერიოზული აღმოჩნდა. აფრიკელთა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა ნაკრებში სხვა ლეგიონერებთან ერთად „ლიდსის“ მცველ ლუკას რადებესაც უხმო, რითაც პრემიერლიგელთა მწვრთნელი ჯორჯ გრემი ძლიერ გაანაწყენა. სამხრეთ აფრიკელთა კაპიტანმა კი ნაკრებს კლუბი ამჯობინა, აქ ანაზღაურება კარგი მაქვსო. საუდის არაბეთში არწასვლის მიზეზად 28 წლის რადებემ ისიც დაასახელა, ახლა რომ კონფედერაციების თასზე ვითამაშო, თებერვალში აფრიკის თასი მექნება სათამაშო, ასე კი პრემიერლიგას ძლიერ მოვცდები, რაც არანაირად არ მაწყობსო. მიუხედავად რადებეს პროტესტისა, იგი ნაკრების ხელმძღვანელობამ აიძულა, გუნდს საუდის არაბეთში შეერთებოდა. კონფედერაციების თასის გამო ლუკას რადებე პრემიერლიგის ორ თამაშს გამოტოვებს „ჩელსისთან“ და „ბოლტონთან“.

მოკლედ, ფიფას ახალმა იდეამ, მორიგმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელმაც ისედაც გადატვირთული საფეხბურთო კალენდარი კიდევ უფრო დაამძიმა, უამრავ კლუბს და ფეხბურთელს გაუჩინა ახალი თავსატეხი. ზემოთ სულ მომავალი ტურნირის გამო კლუბებსა და ნაკრებებს შორის წარმოქმნილ პრობლემებზე ვისაუბრეთ, უთანხმოების მთავარ მიზეზზე — კონფედერაციების თასზე კი არაფერი გვითქვამს.

ფიფამ მასში შემავალი კონფედერაციების ჩემპიონთა თასის გათამაშების შესახებ ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა პერიოდში განაცხადა, მაგრამ რაკი მაშინ მსოფლიოს ფეხბურთის თავკაცებმა კომპრომისს ვერ მიაღწიეს, წამოწყება დროებით შეჩერდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ტურნირის ჩატარების იდეა არტემიო ფრანკის თასის გამო წარმოიშვა. უეფას ინიციატივით, ამ ორგანიზაციის ტრაგიკულად დაღუპული იტალიელი პრეზიდენტის, არტემიო ფრანკის სახელობის თასს 80-იანი წლებიდან მოყოლებული სამხრეთ ამერიკის და ევროპის ჩემპიონი ნაკრებები ეცილებიან. სწორედ ამ მინი ტურნირმა წარმოშვა კიდეც ფიფაში შემავალი კონფედერაციების თასის ჩატარების იდეა.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, 1992 წელს, საუდის არაბეთმა ინტერკონტინენტალურ ჩემპიონატს უმასპინძლა (მაშინ ტურნირს სწორედ ასე ერქვა). ფიფას ჩანაფიქრით ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღო ევროპის, აზიის, აფრიკის, ოკეანეთის, სამხრეთ ამერიკის და კონკაკაფის კონფედერაციების ჩემპიონებს, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონი და მასპინძელთა ნაკრები დაემატებოდა. 1992 წელს, წამოწყებას ბევრი არასერიოზულად მოეკიდა და პირველ გათამაშებაში მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ფინალში, 20 ოქტომბერს, არგენტინამ მასპინძელ საუდის არაბეთს სძლია 3:1. სამი წლის შემდეგ თასის გათამაშება უფრო წარმომადგენლობითი გახდა, უკვე ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ამჯერად თასი დანიამ მოიგო. რიქარდ მიოლერ ნილსენის ბიჭებმა ფინალში არგენტინა დაამარცხეს 2:0 და არტემიო ფრანკის თასზე დამარცხებისთვის რევანში აიღეს.

წელს ფიფას იდეა განხორციელდა და ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს. A ჯგუფში მოხვდნენ საუდის არაბეთი, როგორც ტურნირის მასპინძელი, ასევე აზიის თასის 1996 წლის გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია, მექსიკა-კონკაკაფის ოქროს თასის 1996 წლის ჩემპიონი და ავსტრალია, როგორც ოკეანეთის ქვეყნების ჩემპიონი. B ჯგუფში წილისყრამ აზიის თასის 1996 წლის ფინალისტი საამიროები, „კოპა ამერიკას“ 1995 წლის ჩემპიონი ურუგვაი, აფრიკის თასის 1996 წლის მფლობელი სამხრეთ აფრიკა და ევროპის 1996 წლის ჩემპიონების, გერმანიის შემცვლელი, კონტინენტის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჩეხეთი მოახვედრა. გერმანელები ტურნირში რომ ვერ მონაწილეობენ, მათ ეს მოუცლელობით ახსნეს.

რაც შეეხება კონფედერაციების თასის მესამე გათამაშების მთავარ პრიზს, იგი წელს შვეიცარიელმა ოქრომჭედელმა ფრიც იუკერმა დაამზადა ციურიხში. 40 სანტიმეტრის თასი 10 კილოგრამს იწონის. შედგება ვერცხლის, ხისა და ძვირფასი ქვებისგან, ამასთანავე დაახლოებით კილონახევარი ოქროც ურევია, თასზე ექვსივე კონტინენტია გამოსახული, ხოლო გათამაშების სახელწოდება თასზე დახვეულ სპირალისებურ ხაზზეა ამოტვიფრული. თასის ფუძეზე გამოსახულია ფიფას და მასში შემავალი კონფედერაციების ემბლემები, რომლებშიც ასევე საკმაოდ ბევრი ძვირფასი ქვაა.

მოკლედ, თასი ნამდვილად ღირს ბრძოლად. მით უმეტეს, ტურნირი ფინანსურადაც საკმაოდ მომგებიანია, რასაც უპირველესად გათამაშების მძლავრი სპონსორები განაპირობებენ.

ისე, რაც ჟოაო ავლანჟი ფიფას პრეზიდენტია, ფეხბურთის ამ უმთავრესმა ორგანიზაციამ საკმაოდ ბევრ საინტერესო ტურნირს ჩაუყარა საფუძველი. ერთ-ერთი სწორედ კონფედერაციების თასის გათამაშებაა.

**ლაშა გოდუაძე**

### A ჯგუფი
### საუდეთი, ბრაზილია, მექსიკა, ავსტრალია

12 დეკემბერი: საუდეთი — ბრაზილია; მექსიკა — ავსტრალია

14 დეკემბერი: საუდეთი — მექსიკა; ავსტრალია — ბრაზილია

16 დეკემბერი: საუდეთი — ავსტრალი; ბრაზილია — მექსიკა

**საუდეთი:** მეკარეები — მოჰამედ ალ დეია (ალ ტაი), ჰამზა სალემი (ალ აჰლი); მცველები — ფაჰდ ალ მეჰალელი (ალ შაბაბი), მოჰამედ ალ საჰაფი, მოჰამედ ალ ხილავი, აჰმედ მადანი (ალ იტჰადი), მოჰამედ ალ ჯანი, აბდულა ზუბრამავი (ალ აჰლი), იბრაჰიმ ალ ჰარბი (ალ ნასრი); ნახევარმცველები — ჰუსეინ სულიმანი, იბრაჰიმ ალ შაჰრანი (ალ აჰლი), ხალიდ ალ ტემავი, სემი ალ ჯაბერი, ხამის ალ დოსარი (ალ ჰილალი), ჰუსეინ ალ სადიყი (ალ ყადისი), ობაიდ ალ დოსარი (ალ ვედა); თავდამსხმელები — ხალიდ ალ მუვალიდი (ალ აჰლი), საიდ ოვაირანი (ალ შაბაბი), აჰმედ ალ დოსარი (ალ ჰილალი)

**ბრაზილია:** მეკარეები — რუჟერიო კენი (სან პაულუ), დიდა (კრუზეირო); მცველები — კაფუ (რომა), ზე მარია (პარმა), რობერტო კარლოსი, ზე რობერტო (რეალი), ალდაირი (რომა), ანდრე კრუზი (მილანი), გონსალვეში (კრუზეირო); ნახევარმცველები — სეზარ სამპაიო (იოკოჰამა), დენილსონი (სან პაულუ), დუნგა (ჯუბილო ივატა), ემერსონი (ლევერკუზენი), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო), ჟუნინიო (ატლეტიკო), ლეონარდო (მილანი); თავდამსხმელები — ბებეტო (კრუზეირო), რომარიო (ვალენსია), რივალდო (ბარსელონა), რონალდო (ინტერი)

**მექსიკა:** მეკარეები — ოსვალდო სანჩესი (ამერიკა), მანუელ აბუნდისი; მცველები — კლაუდიო სუარესი (გვადალახარა), ხოსე გაბრიელი (სანტოს ლაგუნა), ხერმან ვილა, დულიო დავინო, რაულ ლარა (ამერიკა), მარკუს ლოპესი, ხუან პალენსია (კრუზ ასული); ნახევარმცველები — ხესუს რამირესი, ბრაულიო ლუნა, პაულო ჩავესი (გვადალახარა), მარკუს ლოპესი, ოსკარ პერესი, პაველ პარდო (ატლასი), სალვადორ კარმონა (კრუზ ასული); თავდამსხმელები — ლუის გარსია (ატლანტე), კუატემოკ ბლანკო (ნეკაშა), ნოე სარატე (გვადალახარა)

**ავსტრალია:** მეკარეები — მარკ ბოზნიჩი (ასტონ ვილა), ჯონ ალოიზი (პორტსმუთი); მცველები — მეტიუ ბინგლი (ვისელ კოუბი), ტროუ ჰალპინი (ნიუკასლ ბრეიკერსი), რობერტ ენესი, კრეიგ ფოსტერი (პორტსმუთი), გლენ არნოლდი (ხიროსიმა), სტენ ლაზარიდისი (ვესტ ჰემი), კრეიგ მური (გლაზგო რეინჯერსი), დემიენ მორი (ადელაიდა), იოსიპ სკოკო (ჰაიდუკი); ნახევარმცველები — კევინ მუსკეტი (კრისტალ პალასი), პოლ ოკონი (ლაციო), ერნესტ ტაპეი (პერსი), ტონი ვიდმარი (გლაზგო რეინჯერსი), აურელიო ვიდმარი (ტენერიფე), ჯო სპიტერი (შტურმი); თავდამსხმელები — პოლ აგოსტინიო (მიუნხენი), რობი სლეიტერი (საუთჰემპტონი), ალექს ტობინი (ადელაიდა)

### B ჯგუფი
### საამიროები, ურუგვაი, ს. აფრიკა, ჩეხეთი

13 დეკემბერი: საამიროები — ურუგვაი; ს. აფრიკა — ჩეხეთი

15 დეკემბერი: საამიროები — ს. აფრიკა; ჩეხეთი — ურუგვაი

17 დეკემბერი: საამიროები — ჩეხეთი; ურუგვაი — ს. აფრიკა

**საამიროები:** მეკარეები — მუშინ ფარა (ალ შარჯა), იასერ სალემი (ალ ვედა); მცველები — ხამის საადი, ადნან ალტალანი, ბაკიტ საადი (ალ შაბაბი), ისმაილ რაშიდი (ალ ვისელი), მუბარაკ იაკუტი (ალ ნასერი), ჰასან ახმედი, ადელ ახმედი (კალბა); ნახევარმცველები — ალი მოჰამედი (ალ ნასერი), მოჰამედ ობაიდი (ალ აინი), აბდულა ესა (ალ ვისელი), ალი ახმედი, აბდერახმან ალ ჰადადი (ალ შარჯა); თავდამსხმელები — ალი გოლამი, ნასერ ხამისი, მუნტერ აბდულა (ალ ვასელი), აბდუსალამ ალ ჯუნაიბი (ალ ვედა)

**ურუგვაი:** მეკარეები — კარლოს ნიკოლა (ნასიონალი), მარტინ რივასი (დანუბიო); მცველები — დიეგო ლოპესი (რასინგი), გონსალო დე ლოს სანტოსი (მერიდა), ალვარო ადინოლფი, კლაუდიო ფლორესი, ანტონიო პაჩეკო (პენიაროლი), კარლოს დიასი (დეფენსორ სპორტინგი), პაოლო მონტერო (იუვენტუსი); ნახევარმცველები — ლიბერ ვესპა (არგენტინოს ხუნიორსი), პაბლო გარსია (უონდერერსი), მარსელო ზალაიეტა (პენიაროლი), ნიკოლას ოლივერა (ვალენსია), დარიო სილვა (კალიარი), კრისტიან კალეხასი (დანუბიო); თავდამსხმელები — ალვარო რეკობა (ინტერი), გუსტავო მენდესი (ვიჩენცა), ვალტერ კოელიო (ნასიონალი), სეზარ პელეგრინი (დანუბიო)

**ს. აფრიკა:** მეკარეები — ანდრე არენდსე (ფულემი), ბრიამ ბალოვი (კაიზერ ჩიფსი); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი), ვილემ ჯეკსონი (ორლანდო პაირატსი), სიზვი მოტაუნგი, ნილ ტოვი (კაიზერ ჩიფსი), ლუკას რადებე (ლიდსი), დევიდ ნიატი (სენტ გალენი); ნახევარმცველები — დოქტორ ხუმალო (კაიზერ ჩიფსი), კლინტონ ლარსენი (მენინგი), ელმან მკალელე (ქაისერი), ჯონ მოშოუ (ქოჩაელი), ჯაბუ მნგუნი (ვაალი), ერიკ ტინკლერი (ბარნსლი), ჯონ მოეტი, დუმისა ნგობე (ორლანდო პაირატსი); თავდამსხმელები — ბრენდონ ავგუსტინი (ლინცერი), ფილ მასინგა (ბარი), პოლენ ნდლენია (ბურსა), მარკ ვილიამსი (კაიზერ ჩიფსი)

**ჩეხეთი:** მეკარეები — პაველ სრნიჩეკი (ნიუკასლი), ვლადისლავ მაერი (ლიბერეცი); მცველები — მიხაელ ჰორნაკი, ტომაშ რეპკა, ზდენეკ სვობოდა, ირჟი ნოვოტნი (სპარტა), პეტერ ვლაჩეკი (სლავია), კარელ რადა (ტრაბზონი); ნახევარმცველები — რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო), მარტინ ფრიდეკი (ლევერკუზენი), ედვარდ ლასოტა (სლავია), რადოსლავ ლატალი, ირჟი ნემეცი (შალკე), კარელ პობორსკი (მანჩესტერი), რადეკ სლონჩიკი (ბარი), პაველ ნედვედი (ლაციო); თავდამსხმელები — პაველ კუკა (კაიზერსლაუტერნი), ვრასტისლავ ლოკვენცი, ჰორსტ ზიგლი (სპარტა), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი)

**ნახევარფინალები:** 19 დეკემბერი: A1 — B2; B1 — A2

**ფინალი** 21 დეკემბერი; **მატჩი III ადგილისთვის** 21 დეკემბერი


ყველა ქალაქს თავის მშვენება აქვს, მათ შორის ერ რიადსაც — მეფე ფახთის სუპერ სტადიონი

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელი** ნახევარმცველი სავიო ბორტოლინი, რომელიც მადრიდის „რეალმა“ „ფლამენგოსაგან“ ჯერჯერობით გაუმხელელი თანხის საფასურად შეიძინა, სამშაბათს ოფიციალურად წარადგინეს მედიისა და გულშემატკივრების წინაშე. „ბედნიერი ვარ, ერთადერთი, რაც მსურს, გოლების გატანა და „რეალისათვის“ ტიტულების მოპოვებაა“ — თქვა სავიომ. ამ დახვეწილი, შემტევი ფეხბურთელის დებიუტი ახალი კლუბის შემადგენლობაში იანვარში შედგება. მანამდე კი მადრიდელები მისი იტალიური წარმომავლობის დამტკიცებას ეცდებიან რათა კლუბში მოთამაშე არაევროპელთა რაოდენობა არ გაიზარდოს.

**გერმანიის მესამე დივიზიონის შეჭირვებულმა კლუბმა „1.ფკ უნიონმა“, რომელსაც დეფიციტში 2,6 მილიონდოლარიანი გარღვევა ჰქონია, მფარველობა სთხოვა ცნობილ არაბ მულტიმილიონერ მოჰამედ ალ-ფაიედს. ამ ბერლინური კლუბის მმართველი დირექტორის, ჰანს იოახიმ იუნგის თქმით, მათ მოკრძალებული წერილი გაუგზავნიათ ალფაიედისათვის და კლუბის შეძენა შეუთავაზებიათ. ხსენებული მდიდარი მილიონერი, რომლის ვაჟი დოდიც პრინცესა დაიანასთან ერთად აგვისტოში ტრაგიკულად დაიღუპა, პარიზში მომხდარ ავტოკატასტროფაში, ფეხბურთის ქომაგადაც არის ცნობილი. ამა წლის მაისიდან მის მრავალმილიონიან ქონებაში ინგლისის მეორედივიზიონური „ფულემიც“ ირიცხება.**

**ესპანეთის** პირველი დივიზიონის აუტსაიდერმა ხიხონის „სპორტინგმა“, შესაძლებელი 45 ქულიდან აქამდე მხოლოდ 2-ის მოპოვება რომ შეძლო, სამშაბათს თანამდებობიდან გაანთავისუფლა გუნდის მწვრთნელი ანტონიო მაჩედა. მაჩედას მძიმე მოვალეობას დროებით „სპორტინგის“ ტექნიკური დირექტორი ხოსე მანუელ დიასი შეასრულებს.

**უნგრეთის პირველი დივიზიონის კლუბ „უიპეშტის“ 24 წლის მეკარე ლაიოშ შუცმა სამშაბათს კონტრაქტი გააფორმა ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნთან“. ტრანსფერის დეტალები არ გამხელილა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ შუცი ძირითად მეკარეს, ანდრეას რაინკეს შეცვლის.**

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი წევრი, „ლე ავრის“ თავდამსხმელი სირილ პოჟე, რომელიც გასულ თვეში ერთ-ერთი აკრძალული დოპინგ-ნივთიერების მიღებაში ამხილეს, არ დაისჯება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციამ ყურად იღო ფეხბურთელის ადვოკატის, ჟან-ჟაკ ბერტრანის განცხადება, რომლის თანახმადაც არ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, პოჟეს შარდის ანალიზი გაკეთდა. ბოლო ხანს დოპინგის გამოყენება პოჟეს გარდა კიდევ სამ ფრანგ ფეხბურთელს — „ოსერის“ ნახევარმცველ ანტუან სიბირსკის, ტულუზელ დომინიკ არიბაჟს და პსჟ-ს ნახევარმცველ ვინსენ გერენს დაუდგინეს.

**ინგლისის „საუთჰემპტონის“ მენეჯერმა დეივ ჯოუნზმა უარყო მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მას მეტ ლე ტისიეს გაყიდვა სდომებია. მართალია, 29 წლის გამოცდილ ფეხბურთელს ჯერ კიდევ ვერ აღუდგენია ფორმა, წინასასეზონო გერმანული ტურნესას მიღებული ტრავმის გამო რომ დაჰკარგა, მაგრამ კლუბი არასგზით არ აპირებს მასთან განშორებას. „იგი არ იყიდება. კლუბში გატარებული 13 წელი, და ლიგისა და თასებზე გატანილი 189 გოლი ცოტას არ ნიშნავს. ჩვენ არ ვყიდით ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ დეივ ჯოუნზს გუნდის გაძლიერებაში და არა მის დასუსტებაში“ — განაცხადა კლუბის დირექტორმა ენდრიუ ქუენმა.**

**უელსელ** ვეტერან მეკარე ნევილ საუთჰოლს, რომელმაც თავისი ცხოვრების 39 წლიდან 16 „ევერტონში“ გაატარა და 750 მატჩში დაიცვა მისი ღირსება, სამშაბათს კლუბის თავისუფალი ტრანსფერის საფუძველზე დატოვების უფლება მიეცა. „ნევილი თავისუფალია. მას ახლავე შეუძლია დატოვოს კლუბი“ — განაცხადა მერსისაიდელთა მენეჯერმა ჰოვარდ კენდალმა. საუთჰოლის ადგილს მომავალაში, ისევე როგორც გასულ შაბათს „ლიდსის“ წინააღმდეგ წარმატებულად ჩატარებულ შეხვედრაშიც, „ვიკინგ სტავანგერიდან“ მილიონ 300 ათას დოლარად გადმოყვანილი ნორვეგიელი ტომას მირე დაიკავებს.

**ესპანურ „ელ პაისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში „ბარსას“ ფრანგმა ლეგიონერმა კრისტოფ დიუგარიმ აღიარა, რომ იგი უბედურად გრძნობს თავს კატალონურ კლუბში და მის დატოვებაზე ფიქრობს. „აქ ყოფნა ჩემთვის საშინელებაა. იშვიათად ვთამაშობ და ჯერ გოლიც არ გამიტანია“ — თქვა მან. დიუგარის თქმით, მისი შეძენით მარსელის „ოლიმპიკი“ ყოფილა დაინტერესებული: „ოლიმპიკის“ მწვრთნელი როლან კურბი ჩემი მეგობარია და მას სურს, თავისთან გადამიყვანოს. თუმცა, ყველაფერი მაინც „ბარსაზეა“ დამოკიდებული“. გაზეთი დასძენს, რომ 25 წლის ფრანგი თავდამსხმელის ბედი 15 იანვრამდე უნდა გაირკვეს — ეს ახალი შენაძენების გაკეთების უკანასკნელი ვადაა.**

**გერმანელი** მცველი მანფრედ ბინცი ორშაბათს იტალიის სერია B-ს „ბრეშიადან“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა. სატრანსფერო თანხა არ გამხელილა. 32 წლის გამოცდილი მცველი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული, დორტმუნდში 1999 წლის ივნისამდე დარჩება.

**ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“ იუგოსლავიის მეორე დივიზიონის „ოფკ ბელგრადის“ 26 წლის თავდამსხმელი ვანია გრუბაჩი შეუგულებია. გრუბაჩი ამ ბელგრადულ კლუბში 1993 წლიდან თამაშობს და მის მთავარ მეგოლედ ითვლება. მან მიმდინარე სეზონის 15 მატჩში 12 გოლი შეაგდო.**

**ბელგიის** პროფესიონალურ კლუბებს ხულიგნებთან ბრძოლის ახალი გეგმა შეუმუშავებიათ — ბილეთის შეძენისას ფანებმა უნდა წარადგინონ საგანგებო „უსაფრთხოების ნიშნები“, რომელთა მიღების უფლებაც არ ექნებათ რეგისტრირებულ, გამოუსწორებელ ხულიგნებს. „სერკლ ბრიუგეს“ მენეჯერ ჟორჟ ინგელბრესტის თქმით, ნამდვილი გულშემატკივარი ასე უფრო მშვიდად იგრძნობს თავს.

**ჩეხი** ნახევარმცველი ირჟი ლატალი, რომელიც „შალკე 04“-ის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა, დღეს საზარდულის ოპერაციას გაიკეთებს და მწვანე მინდორს გაურკვეველი ვადით ჩამოშორდება.

**ხორვატი მცველის სლავენ ასანინის „სავარჯიშოდ შეტყუება“ „კაიზერსლაუტერნს“ შეიძლება 50 ათასი შვეიცარიული ფრანკი (34 300 დოლარი) დაუჯდეს. ასანინი პრაღის „სლავიაში“ თამაშობს და „კაიზერს“ უკვე დიდი ხანია მასზე თვალი უჭირავს. კლუბებს შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა კი ვერ იჭრა და შედეგი ვერ გამოიღო. ამ კვირაში გერმანელებმა ხორვატი თავისთან მიიწვიეს სავარჯიშოდ და, იქაური პირობებით მოხიბლული, გადასვლაზეც დაიყაბულეს. „სლავიამ“ ამასთან დაკავშირებით სამართლიანი გულისწყრომა გამოხატა: „ფიფას წესების მიხედვით, შეძენის მსურველ კლუბს იმ შემთხვევაში შეუძლია უშუალოდ ფეხბურთელს მიმართოს მისი ამჟამინდელი გუნდის ნებართვის გარეშე, თუ მას კონტრაქტის ვადა დაუსრულდა, ან 6 თვეში იქნება თავისუფალი. ამ შემთხვევაში არც ერთი ამ პირობათაგანი დაცული არ ყოფილა“ — განაცხადა „სლავიას“ მენეჯერმა იარომირ სეპერლემ.**

**ბელგიის** საფეხბურთო ფედერაციამ უსაფუძვლოდ მიიჩნია უეფას თასის 1984 წლის გათამაშების „მოქრთამვის საქმეში“ გარეული შუამავლის, რენე ვან აეკენის მიერ „ანდერლეხტისადმი“ წაყენებული ახალი ბრალდებები, რომლებშიც იგი კლუბს 7 მატჩის ოფიციალურ პირთა მოქრთამვისა თუ მოქრთამვის მცდელობაში სდებდა ბრალს.



# მივცეთ და მოვთხოვოთ

ამ გვიან შემოდგომას ქართველი კალათბურთის გულშემატკივრები იმედიანად უყურებდნენ — საქართველოს ნაკრების წარმატებულ სტარტს ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში. სამწუხაროდ, ჩვენი კალათბურთელები, თუმც კი დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ სამივე მატჩში დამარცხდნენ: შინ ჩეხებთან და თურქებთან, სტუმრად შვედებთან. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი არასოდეს გაურბოდა პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას და ახლაც, როცა გუნდმა სამივე მატჩი წააგო, ლიპარტელიანი არ დაელოდა ფედერაციის მიერ ნაკრების გამოსვლის შეჯამება-ანალიზს და განცხადება შეიტანა გადადგომის თაობაზე. როგორც ლიპარტელიანმა თქვა, მისი გადაწყვეტილება მტკიცეა. ფედერაცია ამ საკითხს უახლოეს მომავალში განიხილავს და ეს მართლაც საჭიროა, რადგან რაც მოხდა და რა მდგომარეობაცაა ჩვენს კალათბურთში, ზედაპირულ შეფასებას კი არა, საფუძვლიან ანალიზს მოითხოვს. მაგრამ მთავარი მწვრთნელის ამ გადაწყვეტილების გამო მაინც არის აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ დღეს გვინდა კლუბ „ვითას“ პრეზიდენტის, ფედერაციის აღმასკომის წევრის **თემურ დათიკაშვილი** აზრი გაგაცნოთ ამის თაობაზე.

— თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, გუნდის მწვრთნელი, რომელიც იმ სამ თამაშს წააგებს, რომლებშიც გამარჯვება შეიძლებოდა, უნდა გადადგეს, ასე რომ, ლიპარტელიანის ეს ნაბიჯი გასაგებია, რადგან ის წესიერი და ვაჟკაცი კაცია. მაგრამ, მე მგონი, ფედერაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ლიპარტელიანს ეს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, რადგან როდესაც მწვრთნელს ვთხოვთ კონკრეტულ მიზანს, მასაც უნდა დავუკმაყოფილოთ თუნდაც ელემენტალური მოთხოვნები გუნდის მოსამზადებლად. ასეთი რამ კი არ ყოფილა. ბესიკ ლიპარტელიანი სწორედ იმის გამო დაბრუნდა კალათბურთში, რომ ქართული კალათბურთის აღმასვლა უნდოდა. მას შესანიშნავი სამსახურიც ჰქონდა და მდგომარეობაც, მაგრამ მაინც დაბრუნდა, სათავეში ჩაუდგა „ვითას“ და, მოგეხსენებათ, ჩვენმა გუნდმა რასაც მიაღწია. რაც საქართველოს ნაკრები არსებობს, მთელი ტვირთი სამ კაცს აწევს მხრებზე: გუნდის უფროსს ჯამლეთ ხუხაშვილს და მწვრთნელებს ბესიკ ლიპარტელიანსა და ნოდარ ქორქიას. სხვათაგან არავითარი დახმარება არ ყოფილა: ერთადერთი სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი იყო, რომელიც არაერთხელ ამოდგომია ნაკრებს, მაგრამ მისი შესაძლებლობები განუსაზღვრელი არაა. წელს ბესიკ ლიპარტელიანმა მთელი ყურადღება ნაკრებზე გადაიტანა და სწორედ ამიტომ თქვა უარი „ვითას“ მთავარ მწვრთნელობაზე. ბესიკის მიზანი იყო, გუნდი ფინალურ ეტაპზე გაეყვანა. მაგრამ ფედერაციის მხრიდან, ამის თქმისას პასუხისმგებლობას ჩემს თავზეც ვიღებ, რადგან ფედერაციის აღმასკომის წევრი ვარ, ვერანაირად ვერ ამოვუდექით მხარში. გუნდს ერთი სამდღიანი შეკრებაც არ ჰქონია, რათა, უბრალოდ, ერთად ყოფილიყვნენ, ამხანაგურ მატჩებზე და რომელიმე ტურნირში მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ადრე როცა ნაკრების მოთამაშეები ძირითადად „ვითაში“ იყვნენ, ეს პრობლემა არ იყო ასე თვალშისაცემი, ახლა კი, ბიჭები რომ დაიშალნენ, მათთვის აუცილებელია შეთამაშება. ახლა ბევრი უკიჟინებს ნაკრების მოთამაშეებს, საჯარიმოებს ვერ ასრულებდნენ ზუსტადო და ეს მართალიცაა — ფაქტობრივად, სამივე მატჩი უზუსტო საჯარიმოების გამო წავაგეთ. მაგრამ ვერის ბაღის გაყინულ დარბაზში საჯარიმოების სროლაზე რომ ივარჯიშოს, მოთამაშე, უბრალოდ, გაიყინება. ამ დარბაზში გათბობის მოწყობაზე კი უკვე ექვსი წელია ლაპარაკია.

ახლა მწვრთნელების კვალიფიკაციაზე ვიტყვი. ამ ხნის მანძილზე ნაკრების მწვრთნელები არც კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებზე ყოფილან და არც ერთ ევროპულ ტურნირს არ დასწრებიან, რათა რაიმე ენახათ. მათი კვალიფიკაცია პირდაპირ საპასუხისმგებლო მატჩების გამოცდილებით მაღლდებოდა, მატჩის სათანადო დონეზე წარსამართად საჭირო სათამაშო პრაქტიკაც ერთობ მცირე ჰქონდათ. შარშან, როცა „ვითა“ ევროთასზე თამაშობდა, მწვრთნელებს უფრო მეტი მატჩი ჰქონდათ საამისოდ, ახლა კი პირდაპირ ბრძოლაში გადაეშვენ და, ვფიქრობ, მესამე, თურქებთან შეხვედრა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე წინა ორი. თურქეთის გუნდს რაც შეეხება, მათ იმდენი ფული ჩადეს კალათბურთში, რომ გუნდი ევროპული დონისა გახადეს. იქვე გასახდელში დაურიგდათ მათ, მოთამაშეებს 6000-6000 დოლარი ჩვენთან გამარჯვებისთვის, 10 ქულაზე მეტი სხვაობისთვის კი ეს პრემია 10000 დოლარი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ასეთ რამეზე შეიძლება მხოლოდ ვიოცნებოთ, მაგრამ ელემენტალური პირობების მოგვარება ხომ შეიძლება. ქართველი კალათბურთელები ბევრად ნიჭიერები არიან. ეს ბიჭები, რომლებიც საქართველოს პირველობაზე ასეთ მძიმე პირობებში გაიზარდნენ, შეძლებისდაგვარად თანაბრად ეთამაშებიან ევროპულ ელიტას: ბერძნებს, ებრაელებს, ბოსნიელებს, სხვებს.

რა თქმა უნდა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ქვეყანას უჭირს, მაგრამ, ჩემი აზრით, მონდომება მაინც ბევრს ნიშნავს. ბოსნიამ უძნელეს პირობებშიც კი ქვეყნის ჩემპიონატი ექვსი გუნდის მონაწილეობით გერმანიაში ჩაატარა — ომშიც კი გამოძებნეს სახსრები — და ახლა შედეგს იმკის — თავის შესარჩევ ჯგუფში ლიდერია. ბოსნიელებმა იციან, როგორ წაადგება კალათბურთის დონე მათი ქვეყნის პრესტიჟს და საამისოდ ძალა არ დაუშურებიათ. არადა, არა მგონია, მათთან ჩვენზე ნაკლები გაჭირვება ყოფილიყო.

ნაკრებში მწვრთნელები უკონტრაქტოდ მუშაობენ — ესეც შეცდომაა. უნდა დაიდოს კონტრაქტი, რომელშიც ორივე მხარე თავის პირობებს დააფიქსირებს: ნაკრების მწვრთნელი ფედერაციას გარკვეულ პირობებს მოსთხოვს, ფედერაცია მწვრთნელს კონკრეტულ ამოცანას დაუსახავს. ამ შემთხვევაში კი, როგორც დღესაა, ასეთი რამ არ არსებობდა, ამიტომ, ჩემი აზრით, ლიპარტელიანმა უნდა განაგრძოს ნაკრებში მუშაობა.

**კოტე მგალობლიშვილი**

## თბილად განახლდება

საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილენი ახალ წლამდე კიდევ ერთ ტურს გამართავენ. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, კახი ასათიანმა მონაწილე გუნდების მწვრთნელებს ვერის დარბაზში გასათბობი მოწყობილების დადგმა აღუთქვა, ისეთის, როგორიც სპორტის სასახლეშია საერთაშორისო მატჩების დროს. პირველობის განახლებას 15 დეკემბრიდან ვარაუდობენ.

რეგულარული ჩემპიონატი

# მესამე ღმერთი

8 დეკემბერი

**პორტლენდი 105:99 ლეიკერსი**

**პორტლენდი: რაიდერი (26), უოლესი (18)**

**ლეიკერსი: ვან ექსელი (24+12 პასი), ბრაიანტი (19)**

ლეიკერსმა საწყისი 11 მატჩი კი მოიგო, მაგრამ დაშავდა შაკილ ონილი და გუნდმაც მოუხშირა წაგებას.

**იუტა 106:97 ინდიანა**

**იუტა: მელოუნი (31)**

**ინდიანა: ა. დევისი (19)**

როგორც იქნა, იუტას რიგებში გამოჩნდა ჯონ სტოქტონი. ლიგის ყველა დროის ლიდერმა შედეგიან გადაცემებში 18 თამაში გამოტოვა მუხლის ტრავმის გამო. ამ მატჩში მან გუნდს 10 ქულა და 7 პასი შესძინა, „ჯაზმა“ კი ინდიანას 6-მატჩიანი მოგებების სერია შეაწყვეტინა.

**ორლანდო 95:86 ფილადელფია**

**ორლანდო: საიკლი (24+15 მოხსნა)**

**ფილადელფია: აივერსონი (21), ჯექსონი (18)**

ორლანდოს კვლავ აკლდა პენი ჰარდევეი.

**მაიამი 105:97 ნიუ ჯერსი**

**მაიამი: ჰარდევეი (23), ოსტინი (17+13 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი: კასელი (19)**

9 დეკემბერი

**საკრამენტო 113:101 იუტა**

**საკრამენტო: უილიამსონი (27), რიჩმონდი (24), დეპერი (21)**

**იუტა: მელოუნი (34+10 მოხსნა)**

კარლ მელოუნის შედეგიანი თამაშის მიუხედავად, იუტა მაინც დამარცხდა. მისი მუდმივი პარტნიორის ჯონ სტოქტონის ანგარიშზე მხოლოდ 4 ქულაა.

**ფინიქსი 107:95 ვანკუვერი**

**ფინიქსი: სებალოსი (21), მაკდაიესი (20)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (21)**

**ტორონტო 82:95 შარლოტი**

**ტორონტო: სტუდემაიერი (20)**

**შარლოტი: ფილზი (20), რაისი (19)**

ტორონტომ ზედიზედ მეჩვიდმეტედ წააგო. ტორონტოში გამოჩნდნენ მარკუს კემბი და უოლტ უილიამსი, მაგრამ მათი მისვლაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

**ჩიკაგო 100:82 ნიუ იორკი**

**ჩიკაგო: ჯორდანი (29), კუკოჩი (20)**

**ნიუ იორკი: იუინგი (22+13 მოხსნა)**

მაიკლ ჯორდანმა 29 ქულა შესძინა გუნდს და ლიგის ყველა დროის ბომბარდირების ნუსხაში გადაუსწრო მესამე ადგილზე მყოფ მოზეს მელოუნს, რომელსაც კარიერის განმავლობაში 27409 ქულა დაუგროვებია 1045 თამაშში. ჯორდანმა მთელი თავისი კარიერა ჩიკაგოში გაატარა და მართლაც მშობლიურ გუნდს 27 432 ქულა მოუტანა, ოღონდ მელოუნზე გაცილებით ცოტა ითამაშა — 867 მატჩი. ჯორდანის წინ მხოლოდ ლეგენდარული ცენტრები — უილტონ ჩემბერლენი (31 419) და ქარიმ აბდულ ჯაბარი (38 387) დგანან.

**ჰიუსტონი 108:78 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი: დრექსლერი (17+11 პასი), უილისი (16)**

**სან ანტონიო: რობინსონი (14)**

სირცხვილი სან ანტონიოს: დევიდ რობინსონის დაბრუნებისა და ტიმ დანკანის გუნდში მისვლის მიუხედავად სპურზი მაინც ვერაა ყოჩაღად. სანანტონიოელებმა 30 ქულის სხვაობით წააგეს გუნდთან, რომელსაც აკლდა თავისი უპირველესი მოთამაშე — ჰაკიმ ოლაჯუონი. სპურზს 10 მოგებასთან ერთად უკვე 10 წაგება დაუგროვდა.

**მინესოტა 99:108 სიეტლი**

**მინესოტა: კარი (18), გარნეტი (16+15 მოხსნა)**

**სიეტლი: პეიტონი (21+11 პასი), შრემპფი (19)**

მინესოტამ ბოლო 10 მატჩში 8 მარცხი იწვნია.



მაიკლ ჯორდანი ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მესამე გახდა

**ატლანტა 81:97 მაიამი**

**ატლანტა: ლეიტნერი (22), სმიტი (17)**

**მაიამი: ლენარდი (22), ბრაუნი (20)**

**დეტროიტი 92:83 დენვერი**

**დეტროიტი: უილიამსი (21)**

**დენვერი: ლოდერდეილი (16)**

**ვაშინგტონი 120:99 ნიუ ჯერსი**

**ვაშინგტონი: მიურეი (26), სტრიკლენდი (23+14 პასი)**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (23), კიტლზი (17)**

ვაშინგტონმა ბოლო 6 თამაშში მეხუთედ მოიგო.

**დალასი 92:99 კლიპერსი**

**დალასი: რივზი (28)**

**კლიპერსი: მარტინი (18)**

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური

12 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერტა — კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ვოლფსბურგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კიოლნი — დორტმუნდი | 4,0 | 2,9 | 1,7 |
| შალკე — დუისბურგი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ბოხუმი — ლევერკუზენი | 2,6 | 2,8 | 2,2 |
| შტუტგარტი — არმინია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| კარლსრუე — მიუნხენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ჰანზა — ვერდერი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბაიერნი — მიონხენგლადბახი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XVII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — გიუტერსლოო | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| კიკერსი — ფრაიბურგი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ვატენშაიდი — ლაიპციგი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| დიუსელდორფი — კარლ ცაისი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ფორტუნა — აინტრახტი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ცვიკაუ — ურდინგენი | 4,4 | 3,3 | 1,5 |
| მაინცი — მეპენი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ზანქტ პაული — უნტერჰახინგი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| კოტბუსი — ნიურბერგი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVIII ტური

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ბლექბერნი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ბარნსლი — ნიუკასლი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ბოლტონი — დერბი | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| ჩელსი — ლიდსი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ქოვენთრი — ტოტენჰემი | 2,6 | 3,2 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — ლივერპული | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ევერტონი — უიმბლდონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| მანჩესტერი — ასტონ ვილა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — ლესტერი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ვესტ ჰემი — შეფილდი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXII ტური

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სიტი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ბრედფორდი — ბერი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ჩარლტონი — პორტ ვეილი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ჰადერსფილდი — ნორვიჩი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| იფსვიჩი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| მიდლსბრო — რედინგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ოქსფორდი — ქუინზ პარკი | 2,0 | 3,0 | 2,8 |
| შეფილდი — სვინდონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სტოკპორტი — ტრანმერი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| სტოკი — ქრიუ | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| სანდერლენდი — ვესტ ბრომი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ვულვერჰემპტონი — ნოტინგემი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XX ტური

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — სტრასბური | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბორდო — კანი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| მონაკო — რენი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |
| გინგამი — ოსერი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ლანსი — მარსელი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლიონი — ლე ავრი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| პარი სენ ჟერმენი — მეცი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| შატორუ — ბასტია | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ტულუზი — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — მილანი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ბარი — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ბოლონია — ლეჩე | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ემპოლი — სამპდორია | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ინტერი — რომა | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ლაციო — ბრეშია | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ნაპოლი — პარმა | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| პიაჩენცა — იუვენტუსი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ვიჩენცა — ფიორენტინა | 1,7 | 3,0 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIV ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — ლუკეზე | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| კალიარი — რეჯანა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ფ. ანდრია — ტრევიზო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ფოჯა — კიევო | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ჯენოა — რეჯინა | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| მონცა — პადოვა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პესკარა — რავენა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ტორინო — დი სანგრო | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ვენეცია — სალერნიტანა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ვერონა — პერუჯა | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVI ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალენსია — კომპოსტელა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| დეპორტივო — სოსიედადი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| სპორტინგი — სალამანკა | 2,0 | 3,0 | 2,8 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| მალიორკა — ბეტისი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბარსელონა — ესპანიოლი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| რასინგი — სარაგოსა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — მერიდა | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ბილბაო — სელტა | 2,0 | 3,3 | 2,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVIII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხაენი — ნუმანსია | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| სერესი — ორენსე | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| ელჩე — ლეიდა | 2,6 | 2,8 | 2,2 |
| ესტრემადურა — ლას პალმასი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ბადახოსი — ეიბარი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ლოგრონიესი — ალბასეტე | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| სევილია — ტოლედო | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ატლეტიკო B — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლეგანესი — რაიო ვალეკანო | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| ალავესი — ერკულესი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ლევანტე — ოსასუნა | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — ბოავიშტა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| პორტუ — გიმარაეში | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| მარიტიმუ — ბენფიკა | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ამდორა — შავეში | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლეცა — ფარენსე | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| კამპომაიორენსე — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| სეტუბალი — სპორტინგი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| აკადემიკა — რიუ ავე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ბელენენსეში — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

12 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — მაასტრიხტი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| სპარტა — ტილბურგი | 2,1 | 3,0 | 2,6 |

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — ვიტესი | 1,9 | 2,8 | 3,2 |

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალვაიკი — სიტარდი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| უტრეხტი — ეინდჰოვენი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ვოლენდამი — აიაქსი | 9,0 | 5,6 | 1,1 |
| გრონინგენი — ბრედა | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| ფეიენოორდი — ტვენტე | 1,25 | 4,0 | 7,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XVI ტური

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლოო — აალსტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბევერენი — ეკერენი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| ანტვერპენი — ლოკერენი | 2,0 | 3,0 | 2,8 |
| მოლენბეკი — შარლერუა | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ლიერსი — მუსკრონი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| გენკი — სტანდარდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| გენტი — სტ. ტრუდენი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — ლომელი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ჰარელბეკი — ანდერლეხტი | 1,6 | 3,2 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰართსი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 5,6 | 3,3 | 1,4 |
| ჰიბერნიანი — აბერდინი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მოზერველი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| სტ. ჯონსტონი — კილმარნოკი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVI ტური

12 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯუ — ტრაბზონსფორი | 6,0 | 3,4 | 1,35 |

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისთანბულსფორი — გალათასარაი | 3,3 | 3,0 | 1,8 |

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — შექერსფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,2 | 5,0 |
| ანთალიასფორი — ბეშიქთაში | 7,0 | 4,0 | 1,25 |
| ბურსასფორი — სამსუნსფორი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

### კონფედერაციათა თასი

12 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საუდეთი — ბრაზილია | 6,5 | 3,6 | 1,3 |
| მექსიკა — ავსტრალია | 1,8 | 3,0 | 3,3 |

13 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საამიროები — ურუგვაი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| სამხრეთი აფრიკა — ჩეხეთი | 2,8 | 2,8 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-19). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (მე-18). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (მე-20). | 22 და ნაკლები — 1,9; | 24 და მეტი — 1,9 |
| იტალია (მე-12). | 23 და ნაკლები — 1,9; | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (მე-16). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |

## CROCO-2

### ტირაჟი №89

1. ბოხუმი — ლევერკუზენი
2. არსენალი — ბლექბერნი
3. ბარნსლი — ნიუკასლი
4. ბოლტონი — დერბი
5. ქოვენთრი — ტოტენჰემი
6. ევერტონი — უიმბლდონი
7. საუთჰემპტონი — ლესტერი
8. ვესტ ჰემი — შეფილდი

### ტირაჟი №90

1. ბარი — უდინეზე
2. ემპოლი — სამპდორია
3. ინტერი — რომა
4. ნაპოლი — პარმა
5. დეპორტივო — სოსიედადი
6. სპორტინგი — სალამანკა
7. მალიორკა — ბეტისი
8. ბილბაო — სელტა

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

რეგულარული ჩემპიონატი

# მკერდით გატანილი

**მონრეალი — კოლორადო 4:2**

**შაიბები: საკიკი 16 (0:1), ბიურო 4 (1:1), კინტალი 3 (2:1), ბრიუნე 4 (3:1), რექი 14 (4:1), კლემი 4 (4:2).**

1995 წლის 6 დეკემბერს კოლორადომ და მონრეალმა მოაწყვეს გაცვლა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ორივე კლუბზე. კოლორადომ გოლკიპერი რუა გადაიბირა და მოაგვარა მეკარის პრობლემა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ყოველი ძლიერი გუნდისთვის. დიდი წარმატებებიც მალე მოვიდა. მონრეალი კი, რომლის საიმედო თამაშსაც სწორედ მეკარეები განაპირობებდნენ, დაქვეითდა და რიგით კლუბად იქცა. რაც მთავარია, უპირატესობა პირად პაექრობაშიც კოლორადოელთა მხარეს იყო, მაგრამ ახლა მონრეალმა დაამტკიცა, რომ მისი კრიზისი მალე ჩაივლის და შესაძლოა, ყველაფერი მის სასარგებლოდ შეტრიალდეს. კოლორადოსთან სათამაშოდ ჰოკეისტები, მწვრთნელები და გულშემატკივრები საგანგებოდ მოემზადნენ და საერთო ძალით სძლიეს მეტოქეს. მართალია, პირველ პერიოდში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ კანადელებმა მაინც იგდეს ხელთ ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ მონრეალელთაგან ყველა ამპლუის მოთამაშენი გაისარჯნენ, ასე რომ, კოივუს (0+1) სამეულს ამჯერად მხოლოდ დამაგვირგვინებელი დარტყმის განხორციელება მოუხდა.



მონრეალელი კოივუსა (№11) და კოლორადოელი იელის კეჭნაობა

**8 დეკემბერი. მონრეალი — კოლორადო 4:2, რეინჯერსი — ფინიქსი 3:1, ტორონტო — დალასი 3:0, სენტ ლუისი — ვანკუვერი 5:1**

**9 დეკემბერი. აილენდერსი — კალგარი 1:3, დეტროიტი — ვანკუვერი 1:5, ლოს ანჯელესი — პიტსბურგი 1:2**

ვანკუვერი კინენის მისვლის შემდეგ ნელ-ნელა მოდის გონს, მაგრამ ამჯერად ლიგის გუნდებს მისი ნამდვილად არ შეშურდებოდათ — განრიგმა კანადის კლუბი ოთხი დღის განმავლობაში დასავლეთის სამ უძლიერეს გუნდს შეახვედრა. კოლორადოსთან დრამატულ პაექრობას „რკინის მაიკის" ყოფილ კლუბთან — სენტ ლუისთან შეხვედრა მოჰყვა. ძალაუფლებისმოყვარე მწვრთნელს „ბლუზების" ქალაქში ავად იხსენიებენ და მას კეთილმოსურნედ არც ახლა დახვდნენ. ეტყობა, ამან უარყოფითად იმოქმედა კანადელებზე, რომლებიც საკმაოდ ინერტულად გამოიყურებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ არც მასპინძლები იწუხებდნენ დიდად თავს, მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწიეს მათ წინააღმდეგობა. აღსანიშნავია, რომ სენტ ლუისს მთავარი სნაიპერები — ჰალი და დემიტრა აკლდა, მაგრამ ზედიზედ მეხუთე მატჩი საუცხოოდ ჩაატარა „ბლუზმენთა" დამანგრეველმა რგოლმა, რომელიც ასეთი შედეგიანი არასდროს ყოფილა: პელერინმა ორი გოლი გაიტანა, მისმა პარტნიორმა კონროიმ (2 პასი) კი უკანასკნელ ოთხ მატჩში 9(1+8) ქულა დააგროვა.

სირცხვილნაჭამი ვანკუვერი დეტროიტთან სათამაშოდ საკმაოდ მობილიზებული გამოვიდა. დეტროიტელი მაყურებელი საუცხოო სანახაობის მოწმე გახდა. ამ პაექრობაში ყველაფერი იყო — ლამაზი კომბინაციები თუ ძალისმიერი ილეთები და ამიტომ მეტად გულდასაწყვეტი იყო, რომ ესოდენ საინტერესო შეხვედრის ბედი შემთხვევითმა გოლმა გადაწყვიტა. მეორე პერიოდში, როცა 5:3 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ და არც სტუმრები აპირებდნენ დანებებას, შორიდან დარტყმული შაიბა დეტროიტის ძალისმიერ ფორვარდ კირკ მოლტბის მკერდზე მოხვდა და კანადელთა გაოგნებულ გოლკიპერს — მაკლინს გვერდი აუარა.

სიმართლე მაინც უნდა ითქვას: დეტროიტი უკეთ გამოიყურებოდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ზემოხსენებულმა მოლტბიმ სეზონში პირველი დუბლი შეასრულა, მისმა პარტნიორებმა — მერფიმ და აიზერმანმა კი შესაბამისად 3(1+2) და 2(1+1) ქულა მიითვალეს, თანაც ამ უკანასკნელის გოლი მის კარიერაში 548-ე გახდა და ფორვარდი ნჰლ-ის ისტორიაში მე-14 ადგილზე მყოფ მიშელ გულეს გაუტოლდა.

ამ მოგებით დეტროიტი დალასს კიდევ უფრო მიუახლოვდა და ახლა მისგან ქულაა აშორებს. „ვარსკვლავები" კი მოულოდნელად ტორონტოში დამარცხდნენ. საინტერესოა, რომ მასპინძლებმა დალასელები მათივე ტაქტიკით — ფხიზელი დაცვითა და მწვავე კონტრშეტევებით დაჯაბნეს. ტორონტოელთა კაპიტანმა სუნდინმა ზედიზედ მეორე დუბლი გააკეთა.

რეინჯერსმა შეწყვიტა თავისი უხეირო, 8-მატჩიანი (4 ფრე, 4 წაგება) სერია და როგორც იქნა, მოახერხა მატჩში პირველი გოლის გატანა. ნიუიორკელთა და ფინიქსელთა შეხვედრაში კიდევ ორი საყურადღებო ფაქტი მოხდა: ჯერ ერთი, გრეცკი დაშავდა, რაც მის იღბლიან კარიერაში მეტად იშვიათი შემთხვევაა. თუმცა, ფეხის ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა და სახელგანთქმული ჰოკეისტი მომდევნო მატჩშივე გამოვა ყინულზე.

ფინიქსს კი ერთთვიანი შესვენების შემდეგ სახელოვანი სნაიპერი მაიკ გარტნერი დაუბრუნდა. ნჰლ-ს ისტორიაში მეხუთე გოლეადორმა, რომელსაც 700-იანი ზღვარისგან ორი გოლიღა აშორებს, ერთი საგოლე პასი გააკეთა. მიუხედავად ამისა, „კოიოტების" ხელმძღვანელები თურმე მის გაყიდვას აპირებენ.

რაიჰელს კარგად დაებედა შარშანდელი „დედლაინი", რომლის დროსაც კალგარიმ იგი აილენდერსში გაცვალა. ახალ კლუბში ფორვარდი ჩინებულად ათამაშდა და ეს თავის ყოფილ თანაგუნდელებსაც დაუმტკიცა: მისი პასით ბერარმა (10) სტუმრები დააწინაურა. გამარჯვებით კი მაინც კალგარელებმა გაიმარჯვეს, თანაც გადამწყვეტი გოლი უმცირესობაში გაიტანეს.

პიტსბურგმა ბოლო რვა მატჩში მეშვიდედ მოიგო. ორივე შაიბის სულისჩამდგმელი იაგრი (2 პასი) იყო.

ვანკუვერელმა ქელინამ მე-300 ქულა დააგროვა, ლოს ანჯელესელმა ბლეიკმა — 250-ე.

**საშვილ ლარიზიანი**

ახალბედები: [illegible] (ტორონტო) 19(6+13), შტურმი (სან ხოსე) 18(6+12), ელიაში (ნიუ ჯერსი) 15(10+5), პროსპალი (ფილადელფია) 15(4+11), ზედნიკი (ვაშინგტონი) 14(10+4), ოლუნდი (ვანკუვერი) 14(2+12), ეტჩინამი (სენტ ლუისი) 12(6+6) მოროზოვი (პიტსბურგი) 11(6+5), მორისი (კალგარი) 11(3+8)

მცველები: დიუშენი (სენტ ლუისი) 25(5+20), მერფი 25(4+21), ლიდსტრიომი (ორივე დეტროიტი) 24(11+13), ზუბოვი (დალასი) 24(3+11), ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი) 23(5+18), მაკინი (სენტ ლუისი) 22 (10+2), ჰაუსლი (ვაშინგტონი) 21(3+18), ბერარი (აილენდერსი) 20(10+10), მალახოვი (მონრეალი) 20(6+14), იუჰანსონი (ვაშინგტონი) 19(9+10), ბურკი (ბოსტონი) 19(7+12)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| პიტსბურგი | 32 | 17 | 5 | 10 | 9078 | 39 |
| მონრეალი | 31 | 17 | 4 | 10 | 94:73 | 38 |
| ბოსტონი | 30 | 13 | 5 | 12 | 74:79 | 31 |
| ოტავა | 30 | 13 | 4 | 13 | 7872 | 30 |
| კაროლინა | 31 | 12 | 5 | 14 | 83:86 | 29 |
| ბუფალო | 28 | 9 | 6 | 13 | 7277 | 24 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დალასი | 32 | 20 | 4 | 8 | 103:70 | 44 |
| დეტროიტი | 31 | 19 | 5 | 7 | 105:74 | 43 |
| სენტ ლუისი | 31 | 19 | 3 | 9 | 94:69 | 41 |
| ფინიქსი | 30 | 13 | 3 | 14 | 80:74 | 29 |
| ჩიკაგო | 29 | 10 | 5 | 14 | 63:74 | 25 |
| ტორონტო | 28 | 10 | 4 | 14 | 63:76 | 24 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 28 | 19 | 0 | 9 | 82:51 | 38 |
| ფილადელფია | 30 | 15 | 6 | 9 | 84:70 | 36 |
| ვაშინგტონი | 30 | 15 | 4 | 11 | 90:80 | 34 |
| რეინჯერსი | 32 | 9 | 11 | 12 | 83:87 | 29 |
| აილენდერსი | 30 | 12 | 4 | 14 | 80:82 | 28 |
| ფლორიდა | 29 | 9 | 5 | 15 | 70:87 | 23 |
| ტამპა | 28 | 5 | 4 | 19 | 54:95 | 14 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 31 | 16 | 8 | 7 | 94:79 | 40 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 12 | 5 | 13 | 90:85 | 29 |
| ანაჰაიმი | 31 | 11 | 6 | 14 | 70:88 | 28 |
| ედმონტონი | 31 | 9 | 7 | 15 | 73:94 | 25 |
| სან ხოსე | 30 | 10 | 2 | 18 | 76:93 | 22 |
| ვანკუვერი | 31 | 9 | 4 | 18 | 89:111 | 22 |
| კალგარი | 32 | 7 | 7 | 18 | 80:100 | 21 |



## სტივენსი მთლად გამშმაკდა

ნიუ ჯერსისა და ნჰლ-ის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა სკოტ სტივენსმა სამშაბათს მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის კლუბთან. ბოლო ხანს მავანნი თვლიდნენ, რომ 33 წლის ჰოკეისტმა თავისი დრო მოჭამა, ზოგნი კი, აქაოდა სკოტს ძველი კონტრაქტი დაუმთავრდაო, მას სხვა გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. შეგახსენებთ: სტივენსი (162 გოლი და 590 პასი კარიერაში) ორჯერ (1988 და 1994 წლებში) მოხვდა ლიგის საუკეთესო ექვსეულში, რვაჯერ კი „ოლ სტარის" მატჩებში მონაწილეობდა.

## ჰაშეკი კვირის გმირია

შარშანდელი სეზონის MVP-ს ბუფალოელ დომინიკ ჰაშეკს ახალ სეზონში არ უმართლებს. ჩეხი გოლკიპერი, რომელმაც მწარედ გააკრიტიკა კლუბის ყოფილი მწვრთნელი ნოლანი, ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ მისი დათხოვნისთანავე თავად მოუხდებოდა პარტნიორთაგან უსიამოვნო განცხადებების მოსმენა. სეზონის დასაწყისში კი ვერც მაყურებლებმა იგუეს მისი უნიათო თამაში და თავიანთ კერპს უსტვინეს. საბედნიეროდ, დომინიკი ნერვებს არ აჰყოლია და სავალალო მდგომარეობაში ყოფნას ძალის მოკრება არჩია. გასულ კვირას (1-7 დეკემბერი) ჰაშეკმა ორი „მშრალი" მატჩი ჩაატარა, ოთხ თამაშში მხოლოდ სამი გოლი გაუშვა და კვირის სხვა რჩეულებს, სენტ-ლუისელებს — კონროისა და გოლკიპერ ფიურს გაუსწრო.

## სასწაულმოქმედი საცვალი

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სპორტსმენები სხვადასხვა თილისმებსა თუ მაგიური ძალით დაჯილდოებულ საგნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

დეტროიტის უნივერსიტეტის პროფესორ-ფსიქოლოგის მეტ ვუკოტას მიერ მოწყობილი გამოკითხვით დადგინდა, რომ სხვადასხვა ცრურწმენებსა და თილისმებს ყველაზე მეტად ნჰლ-ში მოთამაშე სპორტსმენები ემალებიან. დაუზარელმა მეტმა ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი მოიძია.

„დეტროიტის" კარის დარაჯი კრის ოსგუდი მატჩის წინ შაიბას მოავლებს ხოლმე საკუთარი ალკაზმულობის ყოველ წერტილს, მის კოლეგა ჯიმ კერის კი გულწრფელად სჯერა, რომ თუ მატჩისას ღვიძლ დას ტრიბუნიდან გააძევებს, მეტოქე გუნდის თავდამსხმელებს მისი კარის დალაშქვრა გაუძნელდებათ.

თავისებური რიტუალი გააჩნიათ ამერიკაში მოთამაშე რუს ჰოკეისტებსაც. ვიაჩესლავ ფეტისოვი შეხვედრის წინ ნახევარი საათი ლოცულობს, ალექსეი კოვალიოვი კი ჯადოსნური ურჩხულის მედალიონს არ იშორებს.

ნჰლ-ის ისტორიაში თილისმებისადმი განსაკუთრებული ლტოლვით სახელგანთქმული ფილ ესპოზიტოა ცნობილი. მას თაყვანისმცემლები უამრავ საჩუქარს უძღვნიდნენ, რომელთაგან თითოეულს სპორტსმენი შემდეგ საგანგებოდ „სცდიდა". ამერიკელი ჟურნალისტების ცნობით, ესპოზიტოს თავისებური კატალოგიც კი ჰქონია ამა თუ იმ ნივთის მაგიური თვისებების აღწერით. ფილს არც მისი ძმა, ახლო წარსულში კლუბ „ჩიკაგოს" გოლკიპერი ტონი ესპოზიტო ჩამორჩენია. ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი თილისმა ჰქონდა, მაგრამ როგორი?! თანაკლუბელთა თქმით, ტონი ნებისმიერ ოფიციალურ შეხვედრაში ერთი და იმავე ქვედა საცვლით ასპარეზობდა. გუნდში ამაზე ბევრს ხუმრობდნენ და ანეგდოტებსაც კი თხზავდნენ, რადგან კლუბის იმდროინდელ წარმატებათა სიმბოლოს — ტონი ესპოზიტოს ისტორიულ საცვალს ხშირი რეცხვისგან თავდაპირველი ბუნებრივი ფერი დიდი ხანია დაჰკარგვოდა.

ექს-ჩიკაგოელი კეტ მაგნუსონი კი შეხვედრებისთვის თავისებურად ემზადებოდა. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მანქანით მგზავრობდა, წითელ შუქნიშანზე დემონსტრაციულად არ აჩერებდა და სპორტული ასპარეზობის ადგილზე ხშირად პოლიციელთა გაძლიერებული ესკორტი მიაცილებდა.

კანადელი ჰოკეისტები 13-ნომრიან მაისურს სათოფეზე არ ეკარებიან. თურმე შორეულ 20-იან წლებში „მონრეალში" ვინმე ბილიკ ბუჩერი გამოდიოდა, ალბათ მიხვდით — ავადსახსენებელი მე-13 ნომრით. მისტერ ბილიკს ხუთი წლის მანძილზე ბედი არ სწყალობდა. ბოლოს და ბოლოს, უიღბლო ჰოკეისტი მიხვდა საკუთარი წარუმატებლობის მიზეზს და ნომერი შეიცვალა. იმავე სეზონში ლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა, მისი გუნდი კი სტენლის თასს დაეუფლა. ეს ისტორია საკმაოდ გახმაურდა და ჰოკეისტთა მომავალ თაობებს ლეგენდასავით გადაეცემოდა.

სიტყვა „მონრეალ კანადიენსზე" ჩამოვარდა და გვერდს ვერ ავუვლით მის ყოფილ მეკარე პატრიკ რუას. ოთხი წლის წინ გულშემატკივრებმა მას სათამაშო სპილო აჩუქეს. იმ ღირსშესანიშნავ საღამოს „მონრეალმა" გაიმარჯვა და გუნდის ისტორიაშიც ახალი ტრადიცია ჩაისახა. ოფიციალური შეხვედრების წინ პატრიკ რუა და მისი თანაგუნდელი ერიკ დეჟარდენი ოთახში იკეტებოდნენ, სპილოს მაგიდაზე დგამდნენ და ხელებს ზურგზე უტყაპუნებდნენ. „მონრეალის" მემატიანეთა ცნობით, ამ რიტუალის დაწყების შემდეგ გუნდს ზედიზედ 11-ჯერ მოუგია. ერთხელაც მეგობრებს სპილოსთვის წამოტყაპუნება დავიწყნიათ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც: ოთხი წლის წინ სტენლის თასის პირველ ფინალურ მატჩში „მონრეალი" „ლოს ანჯელესთან დამარცხდა. მეორე შეხვედრიდან ტრადიცია აღდგა და კანადურმა კლუბმაც ზედიზედ ოთხ თამაშში გაიმარჯვა.

„სტენლის თასი" შარშანწინ „ნიუ ჯერსიმ" მოიგო. გამარჯვებულთა მეკარე მარტინ ბროდო ამ წარმატების მთავარ მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ფინალური სერიის ოთხივე მატჩის წინ კინოთეატრში იყო.

და ბოლოს: ერთობ ორიგინალური თილისმა აქვს უეინ გრეცკის: ოფიციალური თამაშების წინ იგი საკუთარ ყვანჯს ჩვილთათვის განკუთვნილ რძის ფხვნილს აყრის.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ჩოგბურთი

# ლარსონი არ აუფეთქებიათ



მაგნუს ლარსონი

როგორც შვედეთის პოლიცია იუწყება, შვედი ჩოგბურთელის მაგნუს ლარსონის მანქანაზე ბოროტმოქმედთა არჩევანი სრულიად შემთხვევით გაჩერდა და, ბუნებრივია, მისი აფეთქებით ლარსონის დაშავება სულაც არ ჰქონიათ განზრახული.

ლარსონმა, რომელმაც დევისი თასის ფინალში მსოფლიოს პირველი და მესამე ჩოგნები — პიტ სამპრასი და მაიკლ ჩანგი დაამარცხა, შვედთა 5:0 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო და გამარჯვების აღსანიშნავად გამართული წვეულების შემდეგ, 2 დეკემბერს გიოტებორგიდან 200 კილომეტრით დაშორებულ მშობლიურ ქალაქ ვექშოში ნაქირავები მანქანით გაემგზავრა. ბომბი მეორე დილით მრავალსართულიანი სახლის ეზოში დაყენებულ მანქანაში აფეთქდა, თუმცა მას არავინ დაუშავებია.

ვექშოს პოლიციას მიაჩნია, რომ არც მაგნუს ლარსონს და არც ამავე ქალაქში დასასვენებლად მყოფ სხვა შვედ ჩოგბურთელებს — იონას ბიორკმანსა და ტომას ენკვისტს საფრთხე არ ემუქრებათ, ამიტომ მათთვის არანაირი საგანგებო დაცვა არ მიუჩენიათ.

ცურვა

# დოპინგ-ნამცხვარი თუ...

რუსულ სპორტში სკანდალია: დოპინგის გამოყენებაში ამხილეს სამი მოცურავე, თუმცა, ისინი აკრძალული პრეპარატების ხმარებას უარყოფენ.

რუსეთის საწყლოსნო სახეობების ფედერაციის ცნობით, ნატალია მეშერიაკოვა, ვლადიმერ პიშნენკო და ოლგა კოჩეტკოვა ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ კვიპროსზე გამართულ საერთაშორისო ტურნირზე გამოიჭირა. სპორტსმენებს დაუმტკიცდათ მეტანდიონის მიღება, რაც ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მიერ სასტიკად იკრძალება. რუსეთის საწყლოსნო სახეობების ფედერაციამ არცერთი მოცურავე არ დასაჯა, პირიქით, ისინი მომავალი წლის დამდეგს ავსტრალიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასაგზავნ გუნდში ჩარიცხა, რამაც, ცხადია, საერთაშორისო ფედერაცია ძალიან აღაშფოთა. ამ ორგანიზაციამ სამივე რუსი სპორტსმენი, მათი მწვრთნელი ანდრეი ზელენიევი და ადვოკატი შვეიცარიაში, თავის შტაბბინაში დაიბარა ვითარებაში გასარკვევად. ამ საკითხისადმი მიძღვნილი საგანგებო სხდომა 16 დეკემბერს გაიმართება, თუმცა ბრალეულნი აცხადებენ, სანამ კვიპროსზე გავფრინდებოდით, სამარაში მყოფებმა ნამცხვარი ვჭამეთ და შეიძლება იმაში იყო ის პრეპარატი, თანაც ის ნამცხვარი სხვა მოცურავე ქალმა მოგვიტანაო.


**იყიდება**

61 სმ დიაგონალის ფერადი ნახევარგამტარებიანი ტელევიზორი „რუბინი-ც281" კარგ მდგომარეობაში, დეციმეტრული და პალ-სეკამის ბლოკებით. ფასი — 160 ლარი.

**დარეკეთ: 95-22-56 საღამოს საათებში, იკითხეთ სანდრო.**

# რაგბი

## ოქსბრიჯს მაინც გაანებონ თავი!

დეკემბრის მეორე სამშაბათი წმიდათაწმიდა დღეა ლონდონის ცენტრალურ უბან სიტიში მომუშავე ხალხისთვის. მათი უმეტესობა საქმეს განზე გადადებს ხოლმე და დილიდან სამხრეთ-დასავლეთით, ინგლისური რაგბის მექა ტვიკნემისკენ გაუტევს, რათა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ტრადიციულ ყოველწლიურ შერკინებაში – ვარსიტი მატჩში ჩაებას.

ეს მატჩი 1872 წლიდან იმართება, ტვიკნემი კი მისი უცვლელი ბინა 1921 წლიდანაა. იქ ზრდილი სიტელები ალმა-მატერის შესაბამისად ორ ბანაკად დაიყოფიან და თავ-თავიანთ ცოდნის ტაძრებს გულმხურვალედ ქომაგობენ. არის ერთი სიცილ-ხორხოცი და სტვენა-ღრიალი, მაგრამ სასმელს პირს არავინ აკარებს. საგზაო პოლიციაც ამაოდ დაშვრება, როცა ნამატჩევს ალკოჰოლის დეტექტორში ჩააბერინებს ხოლმე ტვიკნემის პიკნიკიდან მომავალ მძღოლებს.



„ვარსიტი მატჩის" მომწყობი კომიტეტი ტვიკნემს ინგლისის რაგბის კავშირისგან გვარიან ფულად ქირაობს. ამ ორი წლის წინ მხარეები თანხაზე ვერ მორიგდნენ და განაწყენებულმა ოქსბრიჯელებმაც (ოქსფორდსა და კემბრიჯს ერთი სიტყვით ამგვარად მოიხსენიებენ! — რედ) ახალ ასპარეზად „უემბლის" უკითხეს პირი. მართალია, მატჩის ადგილად კვლავაც ტვიკნემი დარჩა, მაგრამ

კემბრიჯელ სარიჯს ოქსფორდელი ორსლერი ბოჭავს (ტაიმზი)

ინგლისის რაგბის მამებმა უნივერსიტეტებს წელსაც დააგემოვნებინეს თავიანთი ავი ზნე.

ბრიტები ტრადიციას რომ დიდ პატივს ცემენ, ძველი ამბავია. წლევანდლამდე ასე ყოფილა, რომ ტვიკნემის შებმაში თანა-მსაჯებად წინა მატჩის კაპიტნები ინიშნებოდნენ, მსაჯს კი თავად მეტოქე გუნდები იწვევდნენ. ამას თავისი ეშხი ქონდა: ერთობ სასაცილო სანახავი იყო, ძველ ყოჩებს წელს ქვემოთ შორტები რომ ემოსათ, მხრებზე ემბლემიანი პიჯაკი ესხათ და ალმით მოედნის კიდეზე მიდი-მოდიოდნენ.

წელს ოქსბრიჯელებმა მიწვევა 1995 წლის მსოფლიო თასის ფინალის არბიტრს, ინგლისელსავე ედ მორისონს გაუგზავნეს, მაგრამ რაგბის კავშირი უჩვეულოდ გაჯიქდა, მონაწილეთა აზრი არად ჩააგდო, არანაკლებ ცნობილი ბრაიან კემპსოლი მიავლინა სტუდენტების მატჩის გასაძღოლად და თან ორი ხელდასხმული დამქაშიც აახლა, ესაო და პროფესიული რაგბის ხანაში მსაჯები ბრიგადებად მუშაობენო.

საბაბად პროფესიონალობის მოშველიებამ დიდი აურზაური გამოიწვია. სწავლულები გაშმაგდნენ, რაკი „ვარსიტი მატჩი" სტატუს-შეცვლილ თამაშში ეულად დარჩენილ სამოყვარულო ციხე-სიმაგრეა და მისი ბჭეთა შელეწვა არა სურთ. ამავე აზრზე დადგნენ ბრიტანული მედია და თვით სარაგბო ისტაბლიშმენტის ბობოლა წევრებიც. ყველამ ერთხმად შენიშნა, კავშირის საქციელით შეურაცხყოფილი ვართ; თამაში უნივერსიტეტებს ეკუთვნით და არა მოხელეებს, რომლებმაც უწყინარი ტრადიციის მოშლით რაგბს კიდევ ერთი სამშვენისი დააკლესო.

116-Ე საუნივერსიტეტო თამაში. 9.12. ლონდონი, ტვიკნემი. 70 ათასი მოსეირე
კემბრიჯი 29 (14) (4ლ, 3გ, ს) — ოქსფორდი 17 (3) (2ლ, 2გ, ს)

„ბაცმა ლურჯებმა" ანუ კემბრიჯმა ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვეს, ბოლო 26 შებმაში კი მე-19-ედ ძლიეს „მუქი ლურჯები" ანუ ოქსფორდი. ამის მერე რა გასაკვირია, რომ ჯამური ბალანსიც კემბრიჯის სასარგებლოდაა 55-48 (13 ფრე).

თამაში ინგლისისა და ახალი ზელანდიის საარაკო მატჩის სამი დღის თავზე გაიმართა. სტუდენტური რაგბის დონე, რა თქმა უნდა, სატესტოსთან ახლოსაც ვერ მივიდა, მაგრამ საზოგადოებას მოსაწყენად სად ეცალა — თამაშის გარდა ქალი სტრიკერიც (დედიშობილა აბეზარი) იხილა და ოვაცია გაუმართა.

30 მოთამაშიდან მხოლოდ ნახევარი იყო ბრიტანელი. დანარჩენები სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყნებიდან წინაპართა სამშობლოში სასწავლად ჩასულები იყვნენ. გუნდებს ავსტრალიელები კაპიტნობდნენ: ოქსფორდს — მეიჰერი, კემბრიჯს — მარფი.

კემბრიჯმა, ვისაც შარშანდელი გუნდიდან ცხრა კაცი შეენარჩუნებინა, შერკინებით იმძლავრა. 50-ე წუთისთვის წინ გვარიანადაც გაიჭრა 19:3, მაგრამ ოქსფორდმა ბოლომდე იბრძოლა. 75-ე წუთზე ანგარიში 26:17 იყო, მაგრამ აქ კემბრიჯელმა ზელანდიელმა სარიჯმა, რომლის ძმამაც „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში ბრიტანეთი მოვლო, გადამწყვეტი საჯარიმო შეაგდო. მისგან განსხვავებით, ოქსფორდელმა ავსტრალიელმა კელეჰერმა შესვენებამდე სამი დარტყმა ააცილა კარს.

ნიკო ვეფხვაძე


რაგბის სამყარო

ზეპური მსოფლიო რაგბის ყოველკვირეული მიმოხილვა

WORLD OF RUGBY
12.12 - 16:00, 18:00; 13.12 - 4:00, 8:30; 15.12 - 17:00
19.12 - 3:00, 18:00; 20.12 - 4:00, 8:30
26.12 - 20:00; 27.12 - 4:00; 28.12 - 21:30; 30.12 - 12:00
(საქართველოს თარიღითა და დროით)


# მთის თხილამურობის მსოფლიო თასი

## ვაჟები

ბივერ-კრიკი (კოლორადო, აშშ)

4.12. დაშვება: 1. კრისტიან გედინა (იტალია) 1 წუთი. 41,16 წამი; 2. ჟან-ლიუკ კრეტიე (საფრანგეთი) ჩამორჩა წამის 22 მეასედით; 3. ლასე ხიუსი (ნორვეგია) 24; 4. იოზეფ შტრობლი 28; 5. როლანდ ასინგერი 72; 6. ფრიც შტრობლი 78; ... 9. ჰერმან მაიერი (ყველა ავსტრია) 92; ... 14. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვ) 106

5.12. დაშვება: 1. ანდრეას შიფერერი 1.41,17; 2. ჰ. მაიერი 17; 3. შტეფან ებერჰარტერი 28; 4. ფ. შტრობლი 39; 5. ჰანეს ტრინკლი (ხუთივე ავსტრია) 40; 6. ომოდტი 68; 7. ასინგერი 107; 8. ლასე ხიუსი 120; ... 12. გედინა 136

სეზონის ორი დაშვების ჯამი: შიფერერი და გედინა 122 ქულა; ჰ. მაიერი 109; ხიუსი 92; ფ. შტრობლი 90; ებერჰარტერი 86; ასინგერი 81

6.12. სუპერ-გიგანტი: 1. ჰ. მაიერი 1.16,20; 2. ებერჰარტერი 36; 3. ჰანს კნაუსი 38; 4. ი. შტრობლი (ოთხივე ავსტრია) 56; 5. სტივ ლოხერი (შვეიცარია) 78

სეზონის 7 ეტაპის ჯამი: მაიერი 429 ქულა; ომოდტი 297; ებერჰარტერი 266; ი. შტრობლი 260; შიფერერი 206; მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) 174; გედინა 160; ლოხერი 154; ხიუსი 136

კოლორადოში ავსტრიელმა ვაჟებმა ერთობ იყოჩაღეს. იქ 1999 წელს მსოფლიო პირველობაა დანიშნული და ახალი, „მტაცებელ ფრინველთა" ტრასაც ინდიელებმა აკურთხეს „არწივის საგალობლით".

ოთხშაბათს, ბოლო ვარჯიშზე მოწინავე ათეულში რვა (!) ავსტრიელი მოხვდა. ხუთეულში ოდენ ისინი მოკალათდნენ. საუკეთესო დრო 1.43,10 დიდ თხილამურობაში შარშან დაბრუნებულ კალატოზ მაიერს ქონდა, მაგრამ გაიმართა ხუთშაბათის დაშვება და კვარცხლბეკზე ერთი ავსტრიელიც ვერ ავიდა.

28 წლის იტალიელმა გედინამ კარიერაში მე-8-ედ მოიგო ეს სახეობა და დაიტრაბახა, ავსტრიელების ჯობნა დიდი პატივია; აქამდე მსოფლიო თასის გამარჯვებული ფრანგი ლიუკ ალფონი და მე ვახერხებდით ამას, ამიერიდან კი „ლიუშოს" დიდი სპორტიდან წასვლის გამო მელა დავრჩენილვარ მათი მჯობნიო.

პარასკევს ავსტრიელებმა იშვიათი რევანში აიღეს — ხუთი მოწინავე ადგილი დაიჭირეს. მსოფლიო თასის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა როდია: 1973 წელსაც ავსტრიელებს გაუხერხებიათ „კვინტუპლი", ოღონდაც მათ დიაცებს. ამჯერად გაიმარჯვა 23 წლის შიფერერმა, ვისაც აქამდე ერთადერთი ეტაპი მოეგო — ბივერ-კრიკის მეზობელი ვეილის სუპერ-გიგანტი.

მაიერი ხუთშაბათს მე-9 ადგილზე დარჩა, პარასკევს — მეორეზე, შაბათს კი უკვე პირველი იყო, ოღონდ არა დაშვებაში, არამედ მისა და გიგანტური სლალომის ნაჭვარ სუპერ-გიგანტში. ეს სახეობა 25 წლის ჰერმანს სხვებზე მეტად რომ ეხერხება, სამი გამარჯვებიდან ორი სწორედ მასში აქვს მოპოვებული.

მაიერის დაბადების დღე კვირას რომ იყო, საჩუქარზე თავად იზრუნა. მას არაფრით ჩამორჩა ალფონის წინამორბედი ჩემპიონთა-ჩემპიონი ხიუსი, მაგრამ ნაფინიშევს გაირკვა, რომ კარი გამორჩენოდა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ჰოდა, კვარცხლბეკი ისევ ავსტრიელებით გაივსო, რომელთაგან აღსანიშნავია ნაღდი

ამერიკაში სტუმრობა დასრულდა. დღეიდან მსოფლიო თასის დასი ევროპაში გამართავს წარმოდგენებს. პირველი საფრანგეთის სამხრეთში, სავოიაში, დაბა ვალდიზერშია.

იქ ვაჟები და ქალები უკლებლივ შეკრებილან. თვით შვედი პერნილა ვიბერგი და ამერიკელი პიკაბო სტრიტი აპირებენ სრიალს.

გიგანტური სლალომი ქალებსაც ელით და ვაჟებსაც. გარდა ამისა, პირველნი სუპერ-გიგანტში გაეჯიბრებიან ერთი მეორეს, მეორენი — დაშვებაში.



პარასკევ-შაბათს ავსტრიელმა ვაჟებმა სამეულში უცხო არავინ გააჭაჭანეს

ასოშიეიტიდ პრესი კოლორადოდან

## ქალები

ლეიკ-ლუიზი (ალბერტა, კანადა)

4.12. დაშვება: 1. კატია ზაიცინგერი (გერმანია) 1.38,36; 2. კატრინა გუტენზონი (გერმ) 36; 3. რენატე გეჩლი 57; 4. მიხაელა დორფმაისტერი 93; 5. ალექსანდრა მაისნიცერი (ხამივე ავსტრია) 111; 6. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 116; ... 12. ჰილდე გერგი (გერმ) 157; ... 21. მარტინა ერტლი (გერმ) 211

5.12. დაშვება: 1. ზაიცინგერი 1.38,86; 2. მელანი სუშე (საფრანგეთი) 19; 3. კოსტნერი 52; 4-5. დორფმაისტერი და ბრიგიტ ობერმოზერი (ავსტ) 58; 6. გეჩლი 68

სეზონის ორი დაშვების ჯამი: ზაიცინგერი 200 ქულა; კოსტნერი, გეჩლი, დორფმაისტერი და გუტენზონი 100; სუშე 95

6.12. სუპერ-გიგანტი: 1. ზაიცინგერი 1.14,71; 2. გერგი 33; 3. კოსტნერი 38; 4. ერტლი 46; 5. გეჩლი 58

სეზონის ორი სუპერ-გიგანტის ჯამი: ზაიცინგერი 200 ქულა; კოსტნერი 140; გერგი 125; გეჩლი 95; ერტლი 82

სეზონის 9 ეტაპის ჯამი: ზაიცინგერი 543 ქულა; ერტლი 372; გერგი 349; მაისნიცერი 340; კოსტნერი 327; გეჩლი 249; დებორა კომპანიონი (იტალ) 243; იულვა ნოვენი (ნორვ) 233

## ავსტრიელი ვაჟები, გერმანელი კატია

პროფესიონალი ებერჰარტერი. იგი 1991 წელს სუპერ-გიგანტისა და კიდევ აბსოლუტური ჩემპიონი იყო, მაგრამ მერე ისე დასუსტდა, რომ შარშან მეორეხარისხოვან, ევროპის თასზე ასპარეზობდა.

მუხთალ ტრასაზე ხიუსის ბადალი მარცხი შეემთხვა უნივერსალ ომოდტსაც. თუ კოლორადოში ჩასვლამდე იგი 19 ქულით უსწრებდა მაიერს, ახლა აბსოლუტურში უკვე ავსტრიელი დაწინაურებულა 132 ქულით.

25 წლის გერმანელ კატია ზაიცინგერს უბრძანებია, ლეიკ-ლუიზი ჩემი სახლიაო.

ჭეშმარიტად! გოგომ იქ წინა კვირაში სამივე ჩქაროსნულ ეტაპზე გაიმარჯვა, თუმცკი თავისი უნივერსალობის გადამკიდე არდადეგებზე ამ დისციპლინებში იმდენი ვერ უვარჯიშია, რამდენიც სპეციალისტებს. და კიდევ, კატიამ „ლეგენდების" ტრასაზე დაშვება შარშანაც მოიგო, სუპერ-გიგანტი კი — 1992 და 1994 წლებშიც.

ვარჯიშის შემდეგ ზაიცინგერი VII ადგილზე იყო, საუკეთესო დრო კი იტალიელ კოსტნერს ქონდა 1.39,73. საქმე შეჯიბრზე რომ მიდგა, კატიამ კარიერაში მეორედ მოახერხა ერთსა და იმავე ასპარეზზე ზედიზედ სამ დღეს პირველობა. აქამდე მან იგივე შეიძლო ვალდიზერში, სადაც 1995-6 წლების სეზონში დაშვებასა და ორივე სუპერ-გიგანტში გაიმარჯვა.

ირაკლი ნინუა

ერთა თასი:
ავსტრია 3345 ქულა; გერმანია 1703; იტალია 1417; შვეიცარია 1286; საფრანგეთი 1033



ზაიცინგერის საკარიერო მონაგარი 14-14 დაშვება და სუპერ-გიგანტი და კიდევ ოთხი გიგანტური სლალომია, რაც ჯამში 32 გამარჯვებაა!

ასოშიეიტიდ პრესი ალბერტადან

# კრივი



## ბობ არუმს შოუ ჩაეშალა

აი, ესაა კრივიო! — ამოხდენია პრომოუტერ ბობ არუმს შაბათღამ, ატლანტიკ-სიტის (ნიუ-ჯერზი, აშშ) „კონვენშენ სენტერში".

იქ, იმ საღამოს „კარდზე" (პროგრამაში) სამი საჩემპიონო შებმა იყო. მათგან ორი ისე დასრულდა, რომ ბობს არა წყენია რა, მაგრამ ერთში „ანდერდოგმა" (გასალახად შეგულებულმა) რომ ძლია ფავორიტი, არუმს დიდი შოუ ჩაეშალა.

მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ. პირველნი შეიბნენ ფედერაციის (იბფ) ქვე-საშუალო (იგივე ზე-ველტერი! 154 გირვანქა; გირვანქა ჩვენებურად 454 გრამია) წონის ჩემპიონი, ამერიკელი რაულ მარკესი (28 მოგება - 0 წაგება (20 ნოკაუტი)) და სარტყლის მოცილე იორი-ბოი კამპასი (მექსიკა). ამან ჯილას მთლად დაუსისხლიანა სიფათი, VI რაუნდში კი თვალიც დროებით დაუვსო. VIII რაუნდის დამთავრებას 31 წამი რომ უკლდა, რეფერი ჯეიმზ კონდონმა შერკინება შეწყვიტა. კამპასი (69-2) ჩემპიონად გამოცხადდა.

მეორენი შეიბნენ საბჭოს (ვბს) ზე-ველტერის (იბფ-ის ენაზე ქვე-საშუალოს) ჩემპიონი, ამერიკელი ტერი ნორისი (47-6 (31)) და უპრეტენზიო პრეტენდენტი, ამერიკელივე კით მალინგზი. IX რაუნდის შუაწელში სარტყლის მოცილემ ბაგირთან მიიმწყვდია ჩემპიონი და მუშტები დააყარა, ნორისი კი მონუსხულივით დადგა. ამ დროს მისი კუთხიდან თეთრი ხელსახოცი გადმოისროლეს, მაგრამ რეფერი ტონი პერესმა უმისოდაც დააფიქსირა ტექნიკური ნოკაუტი. ამ მოგებით მალინგზის ბალანსი 15-4-1 (1 ფრეა!) გახდა.

ნორისი არუმს ოსკარ დელახოიას მეტოქედ შეეგულებინა. ეს ამერიკელი მოკრივე 24 წლისაა, მაგრამ ჩემპიონის ხუთი ტიტული უკვე მოიპოვა; წონაშიც თანდათან იმატებს და თუმც შაბათს ვბს-ის ველტერ-სარტყელს (147 გირვანქა) იცავდა, მერე და მერე მისსავე წონაში უნდა შებმოდა ნორისს, თუ ეს, რა თქმა უნდა, მალინგზს ძლევდა.

ნორისმა ვერ ივარგა და ჩაშლილი შერკინების არჩივად 4,5 მილიონი US$ დაკარგა, დელახოიამ კი თავისი შებმა უსიტყვოდ მოიგო. მისი მეტოქე იყო პუერტო-რიკოელი ვილფრედო რივერა, ვინც ოსკარს მხოლოდ I რაუნდში გაუძალიანდა, ისე კი, რაც შეეძლო, ბრძოლაში ყველაფერი გაიღო.

II რაუნდში რივერას მარჯვენა წარბი გაუსკდა, IV-ში დელახოიამ მარჯვნიდან რომ მოსდო, ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ ხუთ თვლაზე წამოდგა და მეტოქეს ეკვეთა. V რაუნდში ოსკარმა ვილფრედოს ზედიზედ მაგრად უთავაზა თავში, VII რაუნდში კი ბეჩავ პუერტო-რიკოელს მარცხენა წარბიდანაც წასკდა სისხლი და მთლად მოითხვარა.

რეფერი ჯო კორტესმა 28 წლის ბიჭის ამდენ საცოდაობას ვერ გაუძლო, VIII რაუნდის ბოლოს ექიმ ჰოვარდ ტეილორს ეთათბირა და მისი რჩევით ჩხუბი შეწყვიტა. დელახოიას ბალანსი 27-0 (22) შეიქნა, რივერასი 27-3-1 (18). გამარჯვებულს 6 მილიონი US$ ერგო, გალახულს — ოდენ 350 ათასი. რივერა საჩემპიონო ჩხუბებში 1996 წელს ორჯერ ცემა ვბს-ის მაშინდელმა ველტერ-ჩემპიონმა პერნელ ვიტაკერმა.

დელახოიას ახლა ფრანგ პატრიკ შარპანტიესთან ელის ტიტულის სავალდებულო დაცვა. ეს შერკინება გაისად, 28 თებერვალს, ლას-ვეგასში გაიმართება. ბოლო ხუთ შებმაში ოსკარმა 33 მილიონი US$ მოიხვეჭა, ნორისს კი არუმის ვარაუდით ივნისში უნდა გაჯიბრებოდა.

ვალერი ჯიქია



დელახოია კორტესი რივერა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
ზურაბ მექვალია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29